ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 157 (19898) ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲬᲔᲚᲡ, თებერვლის დამლევს გამართულ საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობაზე გამოსვლისას ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „გარდაქმნის პირობებში პროფკავშირთა ახალ როლად უწინარესად ის მიმაჩნია, რომ ისინი უნდა გახდნენ ეკონომიკაში ტექნოკრატიული განზრახვების თავისებური საპირწონე, რომლებიც, უნდა ითქვას, ბოლო წლებში შეტად ფართოდ გავრცელდა, მიაღწიონ მიღებულ სამეურნეო გადაწყვეტილებათა სოციალური მიზანმიმართულების გაძლიერებას. ეს კი ნიშნავს, რომ პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ გეგმის სოციალური განყოფილების შემუშავებაში, საჭირო შემთხვევებში კი წამოაყენონ თავიანთი ალტერნატიული წინადადებანი“.

ეს დებულება პროფკავშირისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა განიხილა საკითხი „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში“. თითოეულმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ეკონომიკურ დასკვნები უნდა გამოიტანოს პლენუმის მასალებიდან და შრომითს კოლექტივებს ნათლად განუმარტოს სამოქმედო პროგრამა, რას უნდა მივაქცეს განსაკუთრებული ყურადღება? უწინარეს ყოვლისა, დროულად ავითვისოთ ინტენსიური ტექნოლოგიები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, უფრო ფართოდ დავნერგოთ კოლექტიური და საოჯახო იჯარა, უფრო აქტიურად გადაეწყვიტოთ სოციალური პრობლემები, გაბედულად განვსაზღვროთ ეკონომიკის დემოკრატიზაცია და მივაღწიოთ იმას, რომ შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრს კარგად ესმოდეს მართვის რადიკალური რეფორმების აზრი და მიმართულება.

დღეისათვის რესპუბლიკაში შექმნილია პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების თანამოქმედების მწყობრი სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა ეფექტიანად გამოვიყენოთ სოციალისტური შეჯიბრება, შრომელთა ძალისხმევა მოკანმიროთ საკვანძო ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას. მეთორმეტე ხუთწლედის შეორე წელს საგრძნობლად გაიზარდა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვი—ამჟამად მასში მონაწილეობს 2 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე. მათი ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 94 პროცენტია. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ ვითარდება არა მარტო მატერიალური წარმოების სფეროში, არამედ არასაწარმოო სფეროშიც — ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, მართვის ორგანოებში.

საქართველოს პროფკავშირის XVIII ყრილობის შემდეგ პროფსაბჭოს აპარატის მუშაკებისაგან შეიქმნა სამკაციანი სპეციალური ბრიგადები ადგილებზე ინსტრუქტაჟისა და პრაქტიკული დახმარების გასაწევად. 1 ივლისიდან დაიწყო და პირველ სექტემბრამდე გასტანს პროფკავშირული ორგანოების აპარატისა და პროფკავშირებს დაქვემდებარებული ორგანიზაციების პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაცია. რესპუბლიკის პროფკავშირის ცხოვრებაში განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს პროფსაბჭოს მეორე პლენუმს, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში გაიმართება. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკური საბჭოს წევრების, წევრობის კანდიდატების, სარევიზიო კომისიის წევრების, პროფკავშირული აქტივის, ადგილებიდან შშრომელების მიერ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში წარდგენილი გამოცდილება, ჩანაფიქრი, მოსაზრება და კრიტიკული შენიშვნები საიმედო გარანტია იმისა, რომ მომავალ პლენუმზე სერიოზული საკითხი იქნება რესპუბლიკის პროფკავშირული საქმიანობის ავ-კარგზე, ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის პრობლემებზე. შემუშავდება გადაუდებელი ღონისძიებები ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად.

დღეკანდელ ეტაპზე პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყრონ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სოციალური-ეკონომიკური დაჩქარებისა და მთელი ჩვენი ცხოვრების წესის გარდაქმნისათვის პარტიის კურსის განხორციელების საკითხებს. მთავარი აქცენტი გადატანილ უნდა იქნეს მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვის პირობებში პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის პრაქტიკაზე, რომელსაც მრავალი ასპექტი გააჩნია: შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის განვითარება, სამეურნეო ანგარიში, თვითნაზღაურება და თვითდაფინანსება, შრომის ანაზღაურება და პრემირების ახალი პირობები, სახელმწიფო მიღება. მრავალცვლიანი მუშაობა, დემოკრატიის შემდგომი გაღრმავება და სხვა.

თვით პრაქტიკა გვიკარნახებს, რომ აუცილებელია შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტურ შეჯიბრებაში ფორმალიზმის დაძლევას, შეჯიბრების უფრო სრულად ნარმართვას, შრომის ნაყოფიერების გაზრდას, რესურსების დაზოგვას. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ხუთწლედის სახელმწიფო გეგმებისა და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების ნარმატებულ შესრულებას, 2000 წლისათვის თითოეული ოჯახის საცხოვრებელი ჩინით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფკავშირული ორგანიზაციების, მათი კომიტეტებისა და აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის მწვავე პრობლემებს: სკკ-ენუმების, კონფერენციების, კრებების მოწყობის პრაქტიკას, არჩევითი პროფკავშირული ორგანოების ჩამოყალიბებას, მუშაკთა შემადგენლობის თვისებრივ გაუმჯობესებას, ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში გაუბრალოებისა და ფორმალიზმის, შშრომელთა მოთხოვნებისა და საჭიროებებისადმი უსულგულო-ბიუროკრატიული დამოკიდებულების აღმოფხვრას.

ასევე აუცილებელია ფართოდ განზოგადდეს ორგანიზაციული საქმიანობის გამოცდილება პროფკავშირული ორგანიზაციების ყველა რგოლის მუშაობის დონის ასამაღლებლად, ინერციის, კონსერვატიზმის, მოძველებული აზროვნების, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, უნდა შემუშავდეს და დაისახოს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს სრულ საჯაროობას, გაბედულ, პატიოსან და გულახდილ კრიტიკას, პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიურ პოზიციას შრომითი კოლექტივების მართვაში, პროფკავშირული ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაციაში, კადრების შერჩევასა და განაწილებაში.

ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად მუშაობს თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაცია (კომიტეტის თავმჯდომარე — ზ. ნერსესოვი). 1986 წლის შეორე, მესამე, მეოთხე და წლევანდელი პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ქარხნის კოლექტივი ოთხჯერ გამოვიდა გამარჯვებული საკავშირო სამრეწველო გაერთიანება „საკგაზმანქანაპარატის“ სანარმოებს შორის, ხოლო შარშანდელი მაჩვენებლებით ქარხნის კოლექტივი გამარჯვებულად ცნეს ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა შორის.

შშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დიდი წვლილი შეიტანა საწარმოო გაერთიანება „ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲛᲐᲜᲬᲐᲒᲜᲘᲡ“ პროფკავშირულმა ორგანიზაციამ (კომიტეტის თავმჯდომარე — ზ. თაბაგარი). აქ მუშაობენ 1986 წლიდან უფასოდ ემსახურება 26 ავტობუსი, მიწისქვეშა მოუშვეე ეკონომიკურ შესანიშნავი სანიტარიულ-პროფილაქტიკური პირობები, რომლებიც დარგში ერთ-ერთ საუკეთესოდ არის მიჩნეული როგორც რესპუბლიკაში, ისე კავშირში. ბოლო ხანს აშენდა 1242 ადგილიანი 4 საერთო საცხოვრებელი, მთლიანად კი გაერთიანებას დღეისათვის აქვს 17080 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც მთლიანად აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს.

მიღწეულ ნარმატებებთან ერთად საქართველოს პროფკავშირს ჯერ ბევრი გადასაჭრელი და საჭირბოროტო პრობლემა აქვს. ცნობილია, რომ რესპუბლიკის სამრეწველო სიმძლავრეები არადამაკმაყოფილებლად არის დატვირთული. ამჟამად ჩვენთან მესამედით არ არის დატვირთული შალისა და ბრეშუმის ქსოვილების, ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფის ნაწარმოო სიმძლავრეები, 20 პროცენტით და მეტად — ლითონსაჭრელი ჩარხებისა და მუყაოს, 17 პროცენტით — ხილეულტნეულის კონსერვების დამამზადებელი სიმძლავრეები. ბუნებრივად ისმის კითხვა — რა ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ ამ დარგებში მომუშავე პროფკავშირული ორგანიზაციები? „პარტიამ გააღვივა მასების აქტიურობა, — ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, — და ჩვენი ვალია არ დავუშვათ, რომ შემართება ჩაცხრეს, ჩვენი ვალია, განვავითაროთ იგი და მივცეთ შესაძლებლობა მოელი ძალით გაშოვლინდეს“.

პარტიის ეს მითითება თითოეული პროფკავშირული ორგანიზაციის სახელმძღვანელო დებულებად უნდა იქცეს.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲐᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲚᲝᲝᲑᲐ!

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

▲▲

ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ველზე დაიწყო მარცვლოვანი თვითვალი კულტურების მასობრივი ალება. მკა მიმდინარეობს პრაქტიკულად ყველა იმ რაიონში, სადაც გავრცელებულია მარცვლეული კულტურები. წელს მკამ დაიგვიანა: ამინდის პირობებმა გადასწია მოსავლის ალების სამუშაოთა ვადები. ამის მიუხედავად, მეურნეობათა უმრავლესობამ უხვი მოსავალი მოიწია. როგორც ანალიზი ცხადყოფს, ივლისის დამდეგისათვის რესპუბლიკაში მარცვლოვანი და სამარცვლე პარკოსანი კულტურები (სიმინდის გარდა) აიღეს 19 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე, შარშანდელი მაჩვენებელი 12.600 ჰექტარს უდრიდა.

ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. შირაქში გახურებული ალოობაა. „დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ ჭალიოლის მოსავალი!“ — ამ მოწოდებით ერთმანეთს ეჯიბრებიან მექანიზატორები და მემანდრეები. რეკორდულ მოსავალს იღებენ ქვემოქედელი კომბაინერები ხვთისაკარ მგელაშვილი, მიხეილ დიდებაშვილი. ერთ დღეში მგელაშვილმა 65 ტონა მარცვლეული გალეწა და გაგზავნა კოლმეურნეობის საველე კალოზე. მოსავალიც სწორედ ამ კოლმეურნეობაშია უხვი — ქერის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა კოლმეურნეობაში 43 ცენტნერს აღწევს. მთ ამ საქმეში დიდად არ ჩამორჩენიან არხილოსკალოელები, სადაც მარცვლეული საშუალო მოსავლიანობა 37-38 ცენტნერს აღწევს. ამ კოლმეურნეობაში გიორგი ამირეიძისა და ჯემალ ხუხაურაშვილის სამკელი აგრეგატები პირველობენ. შეჯიბრებაში გამარჯვებულის ვიმპელიც ხან ერთის, ხან მეორის კომბაინზე ფრიალებს. სწორედ ამ მკლავმოუღლელი ვაქაცების წყალობით ქერისა და ხორბლის მოსავალი კოლმეურნეობის ნანეკარზე მეტ ფართობზეა აღებული.

ალოობის კონვეიერშია ჩაბმული ზემოქედელი კომბაინერი მიხეილ ლალიაშვილი, მექანიზატორთა შორის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში არაერთხელ გამარჯვებული. მას ახლაც ვერავინ ჯობნის. ხანდახან თანშეზრდილი მეგობარი რეზო ჩიტაური თუ უწევს მეტოქეობას, დღეში ისინი 18-20 ჰექტარზე იღებენ პურეულის მოსავალს, დღიურ ნორმას ორჯერ და მეტად ასრულებენ. ზემოქედელთა საველე კალოზე უკვე 2.000 ტონაზე მეტი მარცვლეულია დახვავებული.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ზემომაჩხაანელები, ჯაფარიძეელები. მათ შესაბამისად 1.800-1.700 ტონა მარცვლეული აქვთ გალეწილი და მიტანილი საველე კალოზე. ზემო მაჩხაანში შრომითი მეტოქეობა აქვთ ვეტერან და ახალგაზრდა კომბაინერებს ფარნაოზ ქადაგიძესა და ნოდარ ბოსტოღანაშვილს, ჯაფარიძის კოლმეურნეობაში — ელიზბარ ყოჩიაშვილსა და თენგიზ წიკლაურს.

რაიონში პურეულის მოსავლის აღების საკორდინაციო შტაბი შექმნილი, რომელშიც პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი, მთავარი სპეციალისტები არიან გაერთიანებული. შტაბი ოპერატიულად ხელმძღვანელობს ყოველდღიურ საქმიანობას, საჭიროების მიხედვით ეწევა მუშახელის, ტრანსპორტის, სამკელი აგრეგატების მანევრირებას.

რაიონში ჯერჯერობით საშემოდგომო მარცვლეულის მოსავალი მესამედ ფართობზეა აღებული. საველე კალოებიდან სახელმწიფო ბეღელში მარცვლის გადაზიდვაზე ბეჯითობენ ავტომძღოლები მიხეილ ხუციურაული, ილია ყოჩიაშვილი, გურამ პაპაშვილი, ვლადიმერ მოთიაშვილი...

წმოელწყაროელი მხველ-მოფსველები, მექანიზატორები არც წლეულს ღალატობენ ტრადიციას, პურეულის მოსავლის დაბინავებას ორ სამუშაო კვირაში ვარაუდობენ.

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘ. რაიონის ყანებში თავისი გზა დაიწყო სიღნაღის მექანიზატორთა უგანწყსო ბრიგადამ. მას 9 კომბაინი და 6 ავტომანქანა აქვს. იგი უნდა დაეხმაროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შემჭიდროვებულ ვადებში მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში.

— დაბლობი რაიონებიდან მთებში გადავდოვართ, იქ, სადაც მწიფდება ხორბალი, — თქვა ბრიგადრმა ი. მირიანაშვილმა, — ბრიგადაში 20 კაცია, ყველა მაღალი კვალიფიკაციის მექანიზატორია.

ტექნიკის კონცენტრაცია, როგორც გასული წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, საშუალებას გვაძლევს იგი უფრო მეტი ეფექტიანობით გამოვიყენოთ. მაგალითად, რაიონში საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად 26 ცენტნერს მიაღწია, ხოლო სოფლების ტიბაანის და ბოდბისხევის კოლმეურნეობებში — 30 ცენტნერს გადააჭარბა.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. გვალვიან ამინდს გავლენა არ მოუხდენია ქერის აღების მიმდინარეობაზე რაიონის მეურნეობებში. აქ საშუალოდ მიიღეს 28 ცენტნერი მარცვლეული, გეგმით გათვალისწინებული 24,4 ცენტნერის ნაცვლად.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ



ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲑᲘᲡ სხვადასხვა დარგში, აგრეთვე ბიოლოგიაში, მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში ფართოდ გამოიყენება სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში“ შემუშავებული და დამზადებული პროდუქცია.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს პროგრამით გაერთიანება თანამშრომლობს ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და საწარმოებთან. აქ მუშავებენ პროექტს უნგრეთის „ლაბორ-მიმის“ ფირმასთან ერთად.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სახელმწიფო მიღებასა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ამან მის მუშაკებს შესაძლებლობა მისცა ეკისრათ ახალი სოციალისტური ვალდებულებანი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ტრისტან ჯანიაშვილი გაერთიანებაში დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერია.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

Რ. ᲤᲝᲜ ᲕᲐᲘᲪᲖᲔᲙᲔᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ კრემლში ა. ა. გრომიკო შეხვდა რ. ფონ ვაიცზეკერს. გაიმართა აზრთა გაზიარება საერთაშორისო ვითარების საკვანძო საკითხებზე. ორივე მხარეს ერთი აზრი ჰქონდა იმაში, რომ ამჟამად სახელმწიფოთათვის არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე მართვული ომის საფრთხის თავიდან აცილება და ამ მიზნით შესაბამის შეთანხმებათა დადება.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ მკაცრად უნდა იცავდნენ მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულების დებულებებსა და ამ ხელშეკრულების გამო ნაკისრი ვალდებულებებს. მოსკოვის ხელშეკრულებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მარტო სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობისათვის, არამედ აგრეთვე მთელი ევროპისათვის, ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის.

კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სადილი გაუმართა რ. ფონ ვაიცზეკერს და მის მეუღლეს.

პრეზიდენტთან ერთად იყვნენ ჰ. დ. გენშერი, დასავლეთ გერმანიის სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, ნ. ი. რიჟკოვი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ვ. პ. ნიკონოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ე. ა. შევარდნაძე, პ. ნ. დემიჩევი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ა. გრომიკომ და რ. ფონ ვაიცზეკერმა სიტყვები წარმოთქვეს.

• • •

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გეგრგვინით შემაკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავნთან.

(ᲡᲐᲙᲓᲘᲡᲘ).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲒᲘᲗ ᲒᲐᲪᲘᲡᲙᲠᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲛᲝᲫᲐᲛᲔ ხალხების შემოქმედებასთან შეხვედრა ყოველთვის დღესასწაულია. სწორედ ასეთი დაუვიწყარი დღესასწაული აჩუქეს თბილისელებს ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებმა, რომლებიც ორი კვირის მანძილზე გამოდიოდნენ საქართველოს დედაქალაქის მთავარ მუსიკალურ სცენაზე. სახელგანთქმული დასის გასტროლებმა ნათელი ფურცელი ჩაწერა სომხეთისა და საქართველოს კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითი თანამეგობრობის მატიანეში დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს. ერევნის თეატრის ვრცელმა რეპერტუარამ, რომელიც შეიცავს სომხური, რუსული, ქართული, საზღვარგარეთული და საბჭოთა კლასიკის ნაწარმოებთ, ცხადყო დასის მხატვრული ძიების მიმართულება, მისი ოსტატობის მაღალი დონე.

არმენ ტიგრანიანის ოპერა „ანუში“ ერევნის თეატრის გამოსათხოვარი აკორდი გახდა, რომელიც 6 ივლისს დასასრულა გასტროლები თბილისში.

სპექტაკლს ესწრებოდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. მ. სიროძე.

სპექტაკლის დამდგმელის — სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სოციალისტური შრომის გმირის ვართან აჯემიანის ოსტატობა, მთავარი პარტიების შემსრულებლების — არაქსია მანსურიანის, რაზმიკ პაპიკიანის, იზაბელა ფაფაზიანის, მსახიობთა მთელი ანსამბლის მონაწილეობა, ჩინებული მუსიკალური ხელმძღვანელობა, შთამბეჭდავი სცენოგრაფია — სწორედ ეს არის სპექტაკლის კომპონენტთა სინთეზი, რომელმაც მას დიდი წარმატება მოუტანა. სადირიჟორო პულტთან იდგა სომხეთის სახალხო არტისტი აკოფ ვოსკანიანი.

აღფრთოვანებულმა მაყურებელმა ღირსეულად შეიფასა მსახიობთა ხელოვნება, რომლებმაც მუსიკისა და ქორეოგრაფიის მეტყველი ენით მოჰფინეს შუქი ყოფიერების მარადიულ ფილოსოფიურ საკითხებს — სიკეთეს, სილამაზეს, სიყვარულს... დარბაზში ტაში დიდხანს არ დამცხრალა. ფიფასი ივანსკენა გაიკვო ყვავილების თაიგულებით...

თბილისი ემშვიდობება მოძმე სომხეთის მსახიობებს. ემშვიდობება, რათა კვლავ შეხვდეს მათ. მეგობრების ხალისიანმა, ტემპერამენტიანმა, შემოქმედების სიხარულის მომგვრელმა ხელოვნებამ მრავალი სასიხარულო წუთი განაცდევინა ქართველ მაყურებელს. წლევანდელმა გასტროლებმა დაამტკიცა სომხეთის ოპერისა და ბალეტის სკოლის, სომხეთის მთავარი მუსიკალური თეატრის, როგორც დიდი და მრავალმხრივი შესაძლებლობების, მკაფიო და თავისთავადი კოლექტივის მაღალი რეპუტაცია.

• • •

ბოლო სპექტაკლის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა სომხურ დასს. მან გულთბილად მიულოცა შემოქმედებითს კოლექტივს გასტროლების წარმატებით დამთავრება, რომელმაც თბილისელებსა და საქართველოს დედაქალაქის სტუმრებს დიდ ხელოვნებასთან ზიარების სასიხარულო წუთები განაცდევინა. აღინიშნა, რომ ერევნელების წლევანდელი გამოსვლა თბილისში და თბილისელი მსახიობებისა — ერევანში კიდევ ერთხელ დასტურებს მოძმე რესპუბლიკების კულტურათა ნაყოფიერ თანამეგობრობას, რომელიც ემსახურება ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

ერევნელი მსახიობების სახელით თეატრის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა ო. ა. ჩეკიჯიანმა დიდი მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის, მაღალი შეფასებისათვის — თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სატატო სიგელით დაჯილდოებისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი კონტაქტები გაღრმავდება და გაფართოვდება, ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრების კეთილ ნაყოფს გამოიღებს. (ᲡᲐᲫᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲠᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა განაგრძო რსფსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ.

ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს ვ. ი. ვოროტნიკოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. ი. ლუკიანოვს.

ამომრჩეველთა განაწესებზე რსფსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. გ. ივანოვამ.

მოხსენების განხილვის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამომრჩეველთა განაწესებზე რსფსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ს. ი. ჩისტოპლიაროვის მოხსენების მიხედვით სესიამ დაამტკიცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

სესიაზე რსფსრ უმაღლესი საბჭოს სამართლოს თავმჯდომარედ არჩეულია ე. ა. სმოლენცევი.

პირველ დღეს დეპუტატთა ჯგუფმა შეკითხვის წესით საკითხი დააყენა რსფსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე სკოლის ფორმით ყველა მოსწავლის უზრუნველყოფის შესახებ. შეკითხვას უპასუხა რსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ნ. პ. მაშანოვმა.

ამთ სესიამ მუშაობა დაამთავრა. (ᲡᲐᲫᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

18 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ იხსნება საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია, რომელიც განიხილავს საკითხს: პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა 2000 წლისათვის ცალკე ბინებით ან იდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით საქართველოს სსრ მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრის ძირითად მიმართულებათა პროექტი. პროექტის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება.

2000 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲜ ᲘᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ სოციალურ მნიშვნელობას ანიჭებენ ქვეყანაში საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქარებას, რათა 2000 წლისათვის ყოველ ოჯახს ჰქონდეს ცალკე ბინა ან იდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს საბინაო მშენებლობის მასშტაბის გადიდება, რომელიც საბელმწიფო სახსრების ხარჯზე ხორციელდება, კოპერაციული და იდივიდუალური მშენებლობის უფრო ფართო განვითარება, აგრეთვე საბინაო ფონდის რეკონსტრუქცია და განახლება, მისი დაცვა-აქენახვის გაუმჯობესება, მისი გამოწილებისადმი კონტროლის გაძლიერება.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1987 წლის 1 იანვრისათვის საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე იყო 108 956 ოჯახი. 2000 წლამდე მოსახლეობის მატებასთან დაკავშირებით აღრიცხვაზე დამატებით უნდა დადგეს დაახლოებით 70 ათასი ოჯახი. სამი ათასამდე ბინა უნდა გამოიყოს ამ პერიოდში სამხედრო უწყებებს. დაახლოებით 236 ათას ოჯახს დასჭირდება ამორტიზებული სახლებიდან კეთილმოწყობილ ბინებში ჩასახლება, აქედან დაახლოებით 30 ათას ოჯახს — იმ სახლებიდ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ

(დასასრული)

1995-1996 წლებში იმათი რიცხვი, ვისაც საბინაო პირობების გაუმჯობესება სჭირდება, 29 ათას ოჯახამდე შემცირდება. ეს უნდა მოხდეს 73 ათასი ბინის გამოყოფის მეოხებით; იმ დროს, როცა აღრიცხვაზე დადგება 47 ათასი ოჯახი.

1999 წლის 1 იანვრისათვის — მეთოთხმეტე ხუთწლედის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე — ბინის მიღების აღრიცხვაზე უნდა დარჩეს მხოლოდ 3.900 ოჯახი, რადგან 1997-1998 წლებში ბინის მიღების მსურველთა რიცხვი შემცირდება 25 ათასი ოჯახით ამ პერიოდში 2,6 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 74 ათასი ბინის საექსპლოატაციოდ გადაცემის მეოხებით, ამასთან აღრიცხვაზე დამატებით აიყვანენ 49 ათას ოჯახს.

2000 წლისათვის თითოეული ოჯახის ცალკე კეთილმოწყობილი ბინით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს საბინაო მშენებლობის ტემპისა და მოცულობის მნიშვნელოვან გადიდებას. საექსპლოატაციოდ ბინების საშუალო წლიური გადაცემის მაჩვენებელი მეთორმეტე ხუთწლედის 1.746 ათასი კვადრატული მეტრიდან მეთოთხმეტე ხუთწლედში უნდა გაიზარდოს 2.376 ათას კვადრატულ მეტრამდე, ესე იგი ბინების საერთო მატება ამ პერიოდში შეადგენს 630 ათას კვადრატულ მეტრს.

პერსპექტივაში საბინაო მშენებლობა რესპუბლიკაში უნდა განვითარდეს ძირითადად დიდპანელიანი და მონოლითური სახლთმშენებლობის გზით.

სახლთსაშენებელი კომბინატების გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების მეშვეობით დიდპანელიანი სახლთმშენებლობის მოცულობა მეთორმეტე ხუთწლედის 420 ათასი კვადრატული მეტრიდან მეცამეტე ხუთწლედში გაიზრდება 740 ათას კვადრატულ მეტრამდე, ანუ 320 ათასი კვადრატული მეტრით, ხოლო მისი ხვედრითი წილი საქალაქო საბინაო მშენებლობის საერთო მოცულობაში შეადგენს 630 ათას კვადრატულ მეტრს.

მონოლითური სახლთმშენებლობა პრიორიტეტულად განვითარდება სიმძლავრეთა ზრდის თვალსაზრისით, მისი ხვედრითი წილი საქალაქო საბინაო მშენებლობის საერთო მოცულობაში შეადგენს დაახლოებით 30 პროცენტს. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამოცანაა გაზარდოს მონოლითური სახლთმშენებლობის მოცულობა მეთორმეტე ხუთწლედის 120 ათასი კვადრატული მეტრიდან მეთოთხმეტე ხუთწლედის 520 ათას კვადრატულ მეტრამდე, ანუ 400 ათასი კვადრატული მეტრით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქაგრომშენმა“ 1988 წლიდან დაწყებული უნდა დანერგოს სოფლად მონოლითური საბინაო მშენებლობა.

კარკასულ-პანელიანი სახლთმშენებლობა მას შემდეგ, რაც გადავა პროგრესულ კონსტრუქციულ სისტემაზე — არმატურის დაჭიმვაზე მშენებლობის პირობებში მეთორმეტე ხუთწლედის 110 ათასი კვადრატული მეტრიდან მეთოთხმეტე ხუთწლედში უნდა გაიზარდოს 330 ათას კვადრატულ მეტრამდე, ხოლო მისი ხვედრითი წილი საბინაო მშენებლობის საერთო მოცულობაში — 15 პროცენტამდე.

კარკასულ-პანელიანი სახლთმშენებლობის სამშენებლო ბაზის სიმძლავრეები 220 ათასი კვადრატული მეტრით უნდა გაიზარდოს არსებული სახლთსაშენებელი კომბინატების გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, აგრეთვე წელიწადში 100 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებლის სმძლავრის ახალი კომბინატის მშენებლობის გზით.

ამასთან გათვალისწინებულია შემცირდეს მასალატევადი დიდბლოკიანი სახლთმშენებლობის მოცულობები მეთორმეტე ხუთწლედის წელიწადში 520 ათასი კვადრატული მეტრიდან მეთოთხმეტე ხუთწლედის 210 ათას კვადრატულ მეტრამდე, ანუ 310 ათასი კვადრატული მეტრით.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა უნდა განხორციელდეს ლო ორგანიზაციათა სიმძლავრის საჭირო მატებას.

სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების პროპორციული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით საბინაო მშენებლობის მზარდი მოცულობების შესაბამისად უნდა. გაიზარდოს მშენინდუსტრიის საწარმოო ბაზის სიმძლავრენი სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ხაზით 260 ათასი კვადრატული მეტრით წელიწადში.

შემუშავებულია საიჯარო ორგანიზაციათა და საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს განვითარების კომპლექსური პროგრამა 2000 წლამდე პერიოდისათვის. ხუთწლედების მიხედვით.

რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, მშრომელებმა ყველფერი უნდა იღონონ, აამოქმედონ არსებული რეზერვები უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამის — 2000 წლისთვის ცალკე ბინით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით თითოეული ოჯახის უზრუნველყოფის ამოცანის გადასაწყვეტად.

კონტაქტები. თანამშრომლობა

გამოცდილებისათვის — საქართველოში

მეტროპოლიტენის აშენების დარგში თბილისელ გვირაბმშენებელთა საქმიანობას ეცნობოდნენ რამდენიმე დღის განმავლობაში მათი სლოვაკი კოლეგები. დელეგაციას ხელმძღვანელობდა სლოვაკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მთავრობის რწმუნებული ქალაქ ბრატისლავის მეტროს მშენებლობაში დალმილ ორფანუსი. სტუმრებმა შეისწავლეს რთულ გეოლოგიურ პირობებში სადგურებისა და გადასასრბენი გვირაბების დაპროექტებისა და მშენებლობის გამოცდილება.

ჩეხოსლოვაკიელი მეტრომშენებლები „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს კოლექტივის ხშირი სტუმრები არიან. თბილისელები მათ უზიარებენ მეტროპოლიტენის ხაზის, ერთკამაროვანი სადგურების მშენებლობის ეგრეთ წოდებული ღია ხერხით აგების გამოცდილებას და სხვ. რესპუბლიკის დედაქალაქის გვირაბმშენებლები აწარმოებდნენ სსრ კავშირში დამზადებული [illegible] ბის გაყვანისათვის [illegible] ნიზეტიდან ფარის [illegible] გამოცდას პრაღის [illegible] ტროს მშენებლობაზე.

სლოვაკი სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ ლაბახუამ. მან სტუმრებს გააცნო საბჭოთა საქართველოს მიღწევები, უამბო, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა ოკუპაციებისა და როგორი ზიანი აღმავლობა სუფევს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

დალმილ ორფანუსმა — მადლობა გადაუხადა ქართველ სპეციალისტებს დიდი დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწიეს პრაღის მეტროს მშენებლობისა და ბრატისლავის მეტროპოლიტენის დაპროექტების დროს.

(საქინფორმი).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ „კომუნისტს“ უპასუხებენ

დაისაჯნენ ცუდი მასპინძლობისათვის

„**კომუნისტის**“ 19 მაისის ნომერში დაიბეჭდა ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის მშრომელთა კოლექტიური წერილი „ესე აგვიგდეს აბუჩად“, რომელშიც ისინი აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმ ცუდი მიღებისა და მასპინძლობისათვის, რომელიც ტურისტული მოგზაურობისას გაუწიეს მათ ცხინვალში.

საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. ბურჯანაძე გვწერს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

ქედელთა ხაჩავარში დასმული საკითხები განიხილა რესპუბლიკური საბჭოს კოლეგიის გამსვლელმა სხდომამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, ოლქის პროფსაბჭოს ხელმძღვანელები, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების კოლეგიათა წევრები. კოლეგიამ პრინციპულად შეაფასა ცხინვალის ტურბაზისა და საექსკურსიო ბიუროს საქმიანობაში არსებული ხარვეზები ნაკლოვანებები და დასახა ღონისძიებები მათ გამოსასწორებლად. ყანიხილეს აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი. ი. ვალიევი განთავისუფლდა ტურბაზის დირექტორის თანამდებობიდან. ტურიზმის საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ჯოიევს და ცხინვალის საექსკურსიო ბიუროს დირექტორს ხ. ჯოიევს გამოეცხადათ საყვედური. მშრომელთა მომსახურების საქმეში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სამუშაოდან განთავისუფლდნენ მათუმისა და ცხინვალის ექსკურსიათა და მოგზაურობათა ბიუროების ჯგუფგამყოლები დ. საფარიძე და ი. ტოროშელიძე, ტურბაზა „ოსეთის“ უფროსი ადმინისტრატორი ი. ალმორო
, აღძრა აგრეთვე უფროსი ინსტრუქტორის ს. თიგიევის სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სასტუმრო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა თ. პაიკაძემ გვაცნობა:

წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. მიუხედავად იმისა, რომ დაჯავშნილი იყო ადგილები სასტუმრო „ოსეთში“, რომელიც ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს ეკვემდებარება, სასტუმროს ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო მიმდინარე წლის 21 მარტს ტურისტული ჯგუფის მიღება და ტურისტები იძულებული გახდნენ ღამე გაეთიათ კომუნალურ სასტუმრო „ალანში“, სადაც შეხვედრა სართულის მორიგემ შეურაცხყოფაც კი მიაყენა სტუმრებს, „თქვენ რა ტურისტები ხართო“.

სასტუმრო მეურნეობის სამმართველომ მოულოდნელად შეაჯოხა სასტუმრო „ალანი“, სადაც გამოვლინდა სხვადასხვა ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებები. შემოწმების მასალები განიხილა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომამ, შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებები სასტუმროს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ვინაიდან სასტუმრო „ალანის“ დირექტორი ე. თედეევი ავადმყოფობის გამო კოლეგიას არ ესწრებოდა, მისი საკითხის განხილვა დაეგზავნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილებას, რომელმაც მას გამოუცხადა საყვედური, ხოლო მორიგე ადმინისტრატორს ე. კულიეზნოვას და ზ. ჯოიევას — სასტიკი საყვედური.

სად გვაქვს გამოსაკეტი ბინები!

მიმდინარე წლის ივნისის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის თაობაზე, რომ 18 ივლისს გაიმართება საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. სესია განიხილავს პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხს.

როგორც გაზეთ „კომუნისტის“ 10 ივნისის ნომერში ამ მოვლენასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიაში ვიუწყებოდით, სესიის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანა გამოწვეულია მისი აქტუალურობით და ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ შექმნილი სიგანგაშო მდგომარეობით. საკითხის განსაკუთრებული აქტუალურობა ერთხელ კიდევ დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კვლავ მოგმართავთ თხოვნით დეპუტატებს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, ყველა მშრომელს, მოქალაქეს აქტიური მონაწილეობა მიიღოთ სესიის მომზადებასა და მის მსვლელობაში. გულდასმით შეისწავლეთ თქვენს საარჩევნო ოლქებში, ტერიტორიებზე, თქვენდამი ორგანიზაციულად დაქვემდებარებულ წარმოება-დაწესებულებებში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა. ამ საქმისადმი ზერელე მიდგომა დანაშაულის ტოლფასი იქნება. რესპუბლიკის პარლამენტის შეკრებამდე ათიოდე დღე დარჩა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა არ აირის შეზღუდული, მსურველებს შეუძლიათ წინასწარ მიმართონ ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. თუმცა იმასაც დაძენთ, რომ დასწრების ყველა მსურველს დარბაზი ვერ დაიტევს — საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად რესპუბლიკაში 100 ათასი ოჯახია აღრიცხვაზე და გასაგებია, რომ ასეთი რამ შეუძლებელია. ეს ფაქტია, მაგრამ სწორია ისიც, რომ ყველას დასწრება არც აირის აუცილებელი. არც ერთი მოქალაქეს საქმიანი წინადადება, სურვილი, შენიშვნა და საჩივარი არ დარჩება უყურადღებოდ. სესიის მუშაობის საყრდენი სწორედ დეპუტატების, სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, მოქალაქეების იმ საკითხთან დაკავშირებული წერილები იქნება. გარდა ამისა სესიის მუშაობა გადაიცემა ტელევიზიით.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ იმას, რომ სესიის მუშაობას სჭირდება კონკრეტული, ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი, ღრმად გაანალიზებული წინადადებები, მოსაზრებები, შენიშვნები. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სასურველია ბინათმშენებლობასთან და მის განაწილებასთან დაკავშირებული საკითხების არასტანდარტული გადაწყვეტა.

თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანოებმა. მათი ვალია ძირეულად გარდაქმნან ამ მხრივ თავიანთი საქმიანობა, სათანადოდ გააკონტროლონ მშენებლობები, იბრძოლონ წამატებებისა და თვალის ახვევის წინააღმდეგ. უნდა გაძლიერდეს ადგილებზე საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, თითოეული დეპუტატის პასუხისმგებლობა მშენებლობაში სრული წესრიგისათვის. ფაქტია, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები არ იჩენდნენ პრინციპულობას და მათი თანხმობით ხშირად ფორმდებოდა აქტები დაუმთავრებელი სახლების მიღებისა და შესახლების თაობაზე. ამიტომაც იწყებოდა ხელახლა პრაქტიკულად ყველა ბინის რემონტი, ამისათვის იხარჯებოდა დიდძალი ყოველგვარი სამშენებლო მასალა. სხვათა შორის, მასალები, რომლებსაც მოსახლეობა იძენდა ბინების შესაკეთებლად, პაერიდან არ ცვივოდა. სახელმწიფო სამშენებლო ობიექტებიდან ბრუდე გზებით გადიოდა ისინი. ამას ვლაპარაკობთ წარსულ დროში იმ იმედით, რომ ასეთი ყოველდ შეუწყნარებელი ფაქტები აღარ განმეორდება, ხომ უნდა მოეღოს ბოლო ასეთ საქმის ვითარებას?

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ აღარ გაჩიანურდეს საექსპლოატაციოდ გადაცემულ ბინებში ოჯახების შესახლება, აღარ განმეორდეს ბინების თვითნებურად დაკავების შემთხვევები. გვახსოვდეს, რომ მზა ბინებში დაგვიანებით შესახლება ძვირად უჯდება ქვეყანას, იკარგება ის თანხები, რომლებიც გადასახადის სახით უნდა შეუვიდეს სახელმწიფოს. დაგვიანებით შესახლება კი, როგორც უკვე ითქვა, იმიტომ ხდება, რომ ბინებში გაურემონტებლად ცხოვრება შეუძლებელია.

საბჭოების ვალია გაითვალისწინონ ბინებით მშრომელთა უზრუნველყოფაში არსებული მწვავე მდგომარეობა, გააკონტროლონ და არ დაუშვან ისეთი ფაქტები, როდესაც საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროფკავშირის კომიტეტები არღვევენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესს. ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, დეპუტატებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ კანონით მინიჭებული დიდი უფლებები. ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური საფუძველი სახალხო დეპუტატთა საბჭოებია. დავამკვიდროთ საჯაროობა ბინების განაწილებაში, „ობიექტურად, მიუკერძოებლად აღვრიცხოთ ის მოქალაქენი, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება სჭირდება. ამ მხრივ მშრომელებისათვის ზრუნვა საბჭოების წმიდათა წმიდა ვალია.

მშრომელებმა უნდა იცოდნენ, როგორ სრულდება ბინებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმები, დეს სახელმწიფოს. დაგვიანებით შესახლება კი, როგორც უკვე ითქვა, იმიტომ ხდება, რომ ბინებში გაურემონტებლად ცხოვრება შეუძლებელია.

საბჭოების ვალია გაითვალისწინონ ბინებით მშრომელთა უზრუნველყოფაში არსებული მწვავე მდგომარეობა, გააკონტროლონ და არ დაუშვან ისეთი ფაქტები, როდესაც საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროფკავშირის კომიტეტები არღვევენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესს. ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, დეპუტატებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ კანონით მინიჭებული დიდი უფლებები. ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური საფუძველი სახალხო დეპუტატთა საბჭოებია. დავამკვიდროთ საჯაროობა ბინების განაწილებაში, „ობიექტურად, მიუკერძოებლად აღვრიცხოთ ის მოქალაქენი, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება სჭირდება. ამ მხრივ მშრომელებისათვის ზრუნვა საბჭოების წმიდათა წმიდა ვალია.

მშრომელებმა უნდა იცოდნენ, როგორ სრულდება ბინებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმები, ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესდეს ბინის საკითხთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, მათზე უთუოდ და დროული, საქმიანი რეაგირება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, მათთან შექმნილმა კომისიებმა უნდა გამოააშკარაონ ის მოქალაქენი, რომლებსაც გამოკეტილი აქვთ ბინები, ან უშრომელი შემოსავლის წყაროდ გაიხადეს ისინი. რესპუბლიკაში და, კერძოდ, ქ. თბილისში არცთუ ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც წლების განმავლობაში არ შედიან მიღებულ ბინებში. ან შედიან იმიტომ, რომ ქალაქის სხვა ადგილებში არანაკლებ მოწყობილი და კომფორტული საცხოვრებლები აქვთ.

მარტო მიმდინარე წლის მარტში თბილისის ლენინის რაიონში, მაგალითად, კომისიამ გამოავლინა კომუნალური ბინების უკანონოდ გაქირავების 44 შემთხვევა და 24 დაკეტილი ბინა. უფრო ადრე, შარშან, ამავე რაიონში 68 უკანონოდ გაქირავებული და 22 დაკეტილი ბინა აღმოჩნდა. გამოვლენებთან კი გამოვლინდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მათთვის ბინების ჩამორთმევა არ ყოფილა ადვილი. სასამართლომ მათგან ორს ჩამოართვა ჯერჯერობით ბინები, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული. კანონმდებლობა ამ საკითხისადმი ჯერჯერობით ლმობიერია. გამოკეტილი ბინები საკმაოდ აღმოჩნდა ქალაქის სხვა რაიონებშიც.

ჩვენ ადრე აღვნიშნეთ, რომ ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის მიმართულებით ერთგვარი დადებითი ტენდენცია დაისახა. რამდენადმე გაუმჯობესდა სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის რიტმულობა. კერძოდ, ვიტყობინებოდით, რომ მიმდინარე წლის ხუთ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საექსპლოატაციოდ გადაეცა 133,2 ათასი კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი, თუმცა ისიც ვიცი, რომ იმ პერიოდისათვის ნახევარი წლის გეგმა მხოლოდ 57 პროცენტით იყო შესრულებული.

ახლა, როცა ეკვსი თვის შედეგები შეჯამდა, სულ სხვა სურათის მოწმენი გავხდით: საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმა რესპუბლიკაში საანგარიშო პერიოდში 102,2 პროცენტით შესრულდა. გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადაეცა 10.200 კვადრატული მეტრი ფართობი, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 100 ათასი კვადრატული მეტრით მეტი.

ცხადია, მშენებლებმა უმატეს შრომის ტემპს, გაძლიერდა მიხდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა, უფრო დაიჯიგა მუშაობის სტილი და მეთოდები. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში მშენებლებს იმ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ მიღებაც დაეხმარა, რომლებიც მათ ხარვეზებისათვის დაიწყნარეს შარშან დეკემბერში. ამ ფაქტს, როგორც ცნობილია, სათანადო შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ამაზე არაერთხელ იყო ლაპარაკი გაზეთ „კომუნისტში“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 6 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აგებული რაოდენობის ზრდის გეგმები. შესრულებულია აგრეთვე საბავშვო ბაღების, პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, პროფტექნიკური სასწავლებლების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებები. თუმცა ჯერჯერობით თავი ვერ გავართვით კლუბებსა და კულტურის სახლებში აგებულის რაოდენობის გადიდების გეგმებს.

იმედია, მშენებლები აღარ შეანელებენ შრომის ტემპს, გარდაქმნიან მუშაობას, გაახარებენ ახალმოსახლეებს კეთილმოწყობილი ბინებით. მათს შრომას ახალ იმპულსს მიანიჭებს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია, რომელიც ბინათმშენებლობაში წესრიგის დამყარების სათანადო ღონისძიებებს დასახავს.

მაშ ასე, სესიის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება. მოიწერეთ თქვენი წინადადებები, მოსაზრებები, შენიშვნები.

შ. ამაშუკელი.

ცოდნისკარელ მხვნელ-მთესველთა ალიობა



დაძაბული პერიოდი აქვთ ახლა კახეთის მხვნელ-მთესველებს: გაჩაღებულია ხორბლისა და ჭერის მკა. კომბაინერები, რომლებიც საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ცდილობენ მინდორში არ დაკარგონ არც ერთი მარცვალი, მკა მოიღონ რამდენიმე დღეში.

385 ჰექტარი უკავია თავთავიანების ნაკვეთს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის ძერფინსკის სახელობის კოლმეურნეობაში, აქედან 330 ჰექტარი ხორბალს აქვთ დათმობილი. მხვნელ-მთესველები პირობას დებენ, რომ სახელმწიფოს ბეღლებში დააბინავებენ სულ ცოტა 10.300 ცენტნერ მარცვლეულს, გაცილებით მეტს, ვიდრე საგეგმო მაჩვენებლით არის გათვალისწინებული.

კომბაინერები ომარ კაპანაძე, გივი ცორიკაშვილი, მამა-შვილი ნოდარ და სულიკო ფრიდონიშვილები, მესაჭეები რობერტ მაკარაშვილი და ვაჟა ცორიკაშვილი — აი, ვისზე ლაპარაკობენ დღეს კოლმეურნეობაში, როცა სიტყვა ჩამოვარდება იმათზე, ვინ არის მოწინავე, ვინ იძლევა თავდადებული, კეთილსინდისიერი შრომის მაგალითს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ერთ-ერთი საუკეთესო კომბაინერი ომარ კაპანაძე; ძერფინსკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნუგზარ კაკიაშვილი გადასცემს გარდამავალ ვიმპელს შეჯიბრების ლიდერს კომბაინერ ნოდარ ფრიდონიშვილს.

Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეჯი სოციალიზმი

მ. ს. გორბაჩოვის რჩეული სიტყვებისა და სტატიების სამტომეულის გამოსვლის გამო

ჩვენმა დრომ წამოაყენა სიახლითა და მასშტაბით უპრეცედენტო ამოცანები, რომლებიც უმოკლეს ვადებში უნდა გადავწყვიტოთ. ეს დაუცხრომელ ენერგიასა და რევოლუციურ გაბედულებას, თეორიის სფეროში არსებითს წინსვლას მოითხოვს.

როგორ შევასახოთ ხორცი დაჭარების, გარდაქმნის, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევის კურსს, რა მეთოდით ჩავბათ მასები ამ დიად საქმეში, როგორი უნდა იყოს პარტიის, სახელმწიფოს როლი შეცვლილ პირობებში, როგორ შევინარჩუნოთ მშვიდობა, უზრუნველყოთ ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის ნამდვილად ადამიანური ცხოვრების მატერიალური და სულიერი პირობები? სოციალიზმის, მსოფლიო განვითარების თეორიისა და პრაქტიკის ესა და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის რჩეული სტატიებისა და სტატიების სამტომეულში.

გამოცემაში შესული ნაწარმოებები დროით მოიცავენ თითქმის ორ ათწლეულს. მათში ნაჩვენებია საბჭოთა ცხოვრება მთელი სისრულითა და სირთულით, ღრმად არის გაანალიზებული ჩვენი მიღწევებიც და წინააღმდეგობანიც საზოგადოების განვითარებაში, შეცდომები და ხარვეზები. წიგნის მასალები წარმოდგენას გვაძლევს ავტორის აზრავნების პოლიტიკური და თეორიული სტილის განვითარების, მისი იდეების მეშვიდრეობიერობის, მათი ნოვატორობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა და XXVII პარტიულმა ყრილობამ დასახეს საზოგადოებაში შექმნილი ვითარების ობიექტური მეცნიერული ანალიზის გზა, მიიღეს ქვეყნის ბედისთვის ისტორიული გადაწყვეტილებანი. მათი სიღრმისეული არსია — მეტი სოციალიზმი. პარტიამ, საბჭოთა ხალხმა უყოყმანოდ დაიწყეს გარდაქმნა და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა, არსებითად წასწია რა წინ გარდაქმნა ყრილობის მიერ დასახული კურსით, გააღრმავა მისი საჭიროებისა და განხორციელებისადმი ახალი მიდგომის გაგება. სწორედ იმით, როგორ მიდგინარეობს გარდაქმნა, მისი შედეგებით იმსჯელებენ სოციალიზმის შესაძლებლობებისა და იმის შესახებ, თუ რას აძლევს იგი პრაქტიკულად ადამიანს, რამდენად არის სოციალურად ეფექტიანი საზოგადოება.

* * *

საზოგადოების განვითარების, როგორც ერთიანი, მთელი უდიდესი მრავალმხრივობითა და წინააღმდეგობრივობით კანონზომიერი პროცესის შესწავლის გზას გვიჩვენებს მარქსიზმ-ლენინიზმი. იგი შესაძლებლობას გვაძლევს სწორად გავერკვეთ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების ხასიათსა და ურთიერთმოქმედებაში, გამოვნახოთ სწორი მიმართულებანი, მუშაობის ფორმები და მეთოდები, გულდაჯერებით ვგრძნობდეთ თავს ისტორიის კვეთის მოსახვევებში. სამტომეულის მასალები დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა მტკიცეა ისწრაფვის პარტია ააღორძინოს თანამედროვე პირობებში და ააღორძინოს რაც შეიძლება სრულად, შემოქმედებითად, კრიტიკულად ლენინიზმის გარდამქმნელი სულისკვეთება, მწვავედ დასვას საკითხი „შემპარიტების მოძენტის“, ცხოვრებაშიც, მეცნიერებაშიც სიმართლის დამკვიდრების შესახებ, რომელშაც იგი უნდა შეისწავლოს.

ვ. ი. ლენინის იდეებს ავტორი თავის ნაწარმოებებში მუდამ მიართავს. მის მიერ წამოყენებული თეორიული დებულებანი, უმნიშვნელოვანესი შეფასებები და დასკვნები ეყრდნობა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ანალიზის ლენინურ მეთოდოლოგიას, ლენინურ მიდგომას სოციალისტური მშენებლობის მრავალმხრივი პრობლემებისადმი, ცოცხალი ცხოვრების წინააღმდეგ. ამ ნაშრომებში ავტორი ეეხმაურება ლენინურ გამოკვლევებს.

იაზრებს რა ობიექტური, თანამედროვეობის, ბევრად ახალი რეალიებიდან, როგორც ჩვენი საზოგადოების, ისე მთლიანად მსოფლიოს განვითარების გარდამტეხი ხასიათიდან გამომდინარე პრობლემათა უმაგალითო რთულ კომპლექსს, მ. ს. გორბაჩოვი ხელმძღვანელობს ლენინის დებულებით: „ვინც კერძო საკითხების წყვეტს ზოგადი საკითხების წინასწარ გადაუწყვეტად, თავისდაუფუნებლად ყოველ ნაბიჯზე გარდუვალად „წაწყდება“ ამ ზოგად საკითხებს... ბრძოდ წაწყდომა ისაა ნიშნავს, რომ თავისი პოლიტიკა უცოდესი მერყეობისა და უპრინციპობისათვის გასწიროს“ (თხზ. ტ. 12. გვ. 606). სწორედ ასეთმა მიდგომამ მისცა შესაძლებლობა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (1984 წლის დეკემბერი) გაკეთებულ მოხსენებაში — „ხალხის ცოცხალი შემოქმედება“ — წამოეყენებინა ახალი თეორიული იდეები და მოეწინაშნა სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების ამოცანები. „... დღევანდელობის მთავარი ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის არსებით დაჩქარებას. იგი განხორციელდება მთელი სიმტკიცითა და მიზანდასახულობით“ (ტ. 2, გვ. 77). სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე, პარტიის XXVII ყრილობაზე დაჩქარების იდეა ჩამოყალიბდა მთლიან კონცეფციად, მისი რეალიზაციაზე შეხედულებათა და პრაქტიკულ ღონისძიებათა სისტემად. ეს კონცეფცია შეადგენს პარტიის XXVII ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების, სკკპ პროგრამის ახალი რედაციის საფუძველს.

სამტომეულში ყოველმხრივ დასაბუთებული დაჩქარების კონცეფცია თავისი თეორიული საფუძვლებით ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების კანონების მოქმედების მექანიზმების მარქსისტულ-ლენინურ გაგებას. იგი არსებითად ამდიდრებს მოძღვრებას კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბების შესახებ, ჩვენს წარმოდგენებს საწარმოო ძალებისა და წარმოებით

მოქალაქეთა უფლებების დასაცავად

ადამიანის უფლებათა დაცვის ხერხებისა და საშუალებების დიდ არჩევანს ქმნის მოქალაქეებს საბჭოთა სახელმწიფო. სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სასამართლოს. აქ განიხილება პირადი, ოჯახური, შრომითი, საბინაო და სხვა უფლებების დაცვის საქმეები. თავიანთი ინტერესების შემდგომი გარანტიები მიენიჭათ საბჭოთა ადამიანებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული კანონით „მოქალაქეთა უფლებების შემბლალავ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში განხილვების წესის შესახებ“.

— რით არის გამოწვეული მიღების საჭიროება? — ამ კითხვით დაიწყო საკადესის პრეზიდენტმა ს. ბუგაევმა საინტერვიუ სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან **ვ. ტ. ბაბარეკინთან.**

— კანონს საფუძვლად უდევს კავშირის კონსტიტუციის 58-ე მუხლის დებულება თანამდებობის პირთა მოქმედების სასამართლო გასაჩივრების შესახებ. 1977 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ სასამართლოსათვის ასეთი სამართლებრივი მოქმედებაზე საჩივრით მიმართვის შესაძლებლობა გაფართოვდა. ახლა ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ თანამდებობის პირთა პრაქტიკულად ყველა გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მაგრამ დღემდე ბევრგვარ მოქმედებას, რომელიც მოქალაქეთა უფლებებს ბღალავს, განიხილავენ ადმინისტრაციული წესით, ანუ ის ორგანო თუ პირი, რომლის ზემდგომი არიან იმ თანამდებობის პირის მიმართ, რომელმა მოქმედებაც საჩივრდება. თუმცა ბევრი საჩივარი სწორად, სწრაფად და სწრაფად წყდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ხშირად ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა განხილვის დროს არ შეესაბამება კანონის არსს. ეს, კარგად, იმიტომ ხდება, რომ ხელმძღვანელებს ხშირად ავიწყდებათ ისინი მოვალენი არიან საწარმოო და სხვა საკითხებთან ერთად სისტემატურად განიხილონ ადამიანების წინადადებები, განცხადებები და საჩივრები მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე.

— თქვენი სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, გასაჩივრების სასამართლო წესი ადმინისტრაციულს სჯობს. რით გამოიხატება მისი უპირატესობა?

— ჯერ ერთი, სასამართლო დამოუკიდებელია — იგი მარტო კანონს ემორჩილება და შებოჭილი არ არის არავითარი უწყებრივი ინტერესებით, „მუნდირის ღირსების“ დაცვის მოსაზრებებით. მოსამართლეები უკეთ ერკვევიან კანონმდებლობაში. ამიტომ სასამართლო უფრო სრულყოფილი ორგანოა არა მარტო ისეთი შემთხვევების განსახილველად, როცა მოქალაქე კანონს აღავლენს, არამედ იმ შემთხვევებისაც, როცა მოქალაქის უფლებები ირღვევა. მეორე, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციის მოქმედების კანონიერების შემოწმება მიმდინარეობს სასამართლო სხდომის დროს, რომლის მოწყობაც მკაცრად არის რეგლამენტირებული კანონით. ეს უზრუნველყოფს გარჩევის კოლეგიურობას, საჯაროობას, დაინტერესებული პირების უშუალო მონაწილეობას, დავის გადაწყვეტის დროს მხარეთა თანასწორობას.

გარდა ამისა მიღებული კანონი ხელს შეუწყობს არა მარტო მოქალაქეთა კონკრეტული უფლებების დაცვაზე უსაფუძვლო უარის თქმის შემცირებასა და მისი კანონიერი პრეტენზიების დაკმაყოფილებას, არამედ დადებით პროფილაქტიკურ როლსაც შეასრულებს. საქმეთა ბიუროკრატმა, რომელიც საჩივრის განხილვას გააჭიანურებს და მის სამართლიან გარჩევას უგულებელყოფს, ისურვოს საჯაროო სასამართლოს წინაშე წარდგომა.

— თუ შეიძლება, ცოტა უფრო დაწვრილებით ახალი კანონის შესახებ...

— ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, თუ მიაჩნია, რომ თანამდებობის პირმა მისი უფლებების შემბღალავი საქციელი ჩაიდინა. ასეთ საქციელს განეკუთვნება მოქმედება, რომლის შედეგად მოქალაქეს უკანონოდ მოაკლდება თავისი უფლების განხორციელების შესაძლებლობა ან იგი შეიზღუდება ამ საქმეში, ანდა მას უკანონოდ დაეკისრება რაიმე მოვალეობა.

სასამართლოსათვის მიმართვა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საჩივარს განიხილავენ დაქვემდებარების წესით, თუ მოქალაქე ვერ დააკმაყოფილა ადმინისტრაციული წესით მისმა გადაწყვეტამ.

ამასთან ერთად კანონი არ ერცელდება ზოგიერთი საჩივრის, მაგალითად ადმინისტრაციული სასჯელების, უკანონო დათხოვნის შესახებ საჩივრების განხილვის არსებულ სასამართლო წესზე... სახელმწიფო საიდუმლოს დაცვის მოსაზრებებით, არ იქნება შემოღებული აგრეთვე იმ მოქმედების გასაჩივრების სასამართლოს წესი, რომელიც ქვეყნის თავდაცვას და სახელმწიფო უშიშროებას ეხება.

— როგორია სასამართლოს უფლებამოსილება საჩივრის განხილვის დროს?

— იგი მკაფიოდ არის განსაზღვრული კანონით. სასამართლო მოვალეა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა გასაჩივრებული მოქმედება კანონს, ჩადენილია თუ არა იგი თანამდებობის პირის უფლებამოსილების ფარგლებში. და უკვე შემოწმების შედეგების მიხედვით სასამართლო საჩივარს საფუძვლიანად ცნობს, ან ავალდებულებს წესის დამრღვევს აღადგინოს დარღვეული უფლებები, ან უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან მისმა განხილვამ ცხადყო, რომ მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არ შებღალულა.

დარღვევის აღმოსაფხვრელად სასამართლო გადაწყვეტილ ებ ა ეგზავნება თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება. იგი მოვალეა ერთი თვის ვადაში აცნობოს სასამართლოს, რა გაკეთდა სასამართლო გადაწყვეტილების შესასრულებლად. შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლო კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მიმართავს. ეს ღონისძიებები კი შეიძლება ერთობ სერიოზული იყოს. მაგალითად, სამოქალაქო სასამართლო კანონმდებლობის შესაბამისად, თანამდებობის პირებს, რომლებიც არ ასრულებენ სასამართლო გადაწყვეტილებას, შეიძლება დიდი ჯარიმა დააკისროს. ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ჯარიმის გადახდა თანამდებობის პირს არ ათავისუფლებს სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების მოვალეობისაგან.

წესრიგის დამყარებასა და სამართლიანობის აღდგენას ხელს შეუწყობს კერძო განჩინებანიც, რომლებიც სასამართლოს გამოაქვს თანამდებობის პირთა მოქმედებაზე შესული საჩივრების განხილვის შედეგების გამო. ეს სასამართლოს საშუალებას მისცემს აქტიურად შეუწყოს ხელი კანონიერების განმტკიცებას, საქმის გაჭიანურებასთან, კრიტიკისათვის დევნასთან, სხვა დარღვევებთან ბრძოლას.

ასეთია იმ კანონის ზოგიერთი ძირითადი დებულება, რომელიც მომავალი წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში. მიიღე რა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, დეპუტატებმა გამოთქვეს წინადადებები, რომლებიც კანონის პროექტს ავსებენ. მათი განხილვის შედეგები მოხსენდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

ეკონომიკური ინფორმაციის ბიულეტენი

ხ. პერეს დე კუელიარის ინტერვიუ

ბელგრადი. ბირთვული განიარაღების დარგში საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების მიღწევა მძლავრ იმპულსს მიანიჭებს განიარაღების საქმისათვის შემდგომ მეცადინეობას, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა იუგოსლავიის ეურნალ „დანასისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. „დიდ იმედებს ვამყარებთ იმაზე, რომ წარმატებით დამთავრდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება“, — თქვა მან.

მშვიდობის შენარჩუნების თვალსაზრისით განიარაღებისათვის, გამალებული შეიარაღების ზრდის წინააღმდეგ ბრძოლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის პრიორიტეტული ამოცანაა. უნდა შევიგნოთ, რომ განიარაღების პრობლემა მარტო დიდი სახელმწიფოების საქმე როდია. იგი ეხება მთელ კაცობრიობას, ხაზგასმით აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა.

საბჭოთა დელეგაცია მალიში

კონაკრი. გვინეის რესპუბლიკის ეროვნული აღორძინების სამხედრო კომიტეტის მოწვევით აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაცია საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ა. დ. ალექსიძის მეთაურობით. ვიზიტის დროს დელეგაცია შეხვდება ქვეყნის ხელმძღვანელობას, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, იმოგზაურებს ქვეყანაში.

◆ ირან-ერაყი

საარტილერიო დუელი გრძელდება

ბაღდადი. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის ცნობით 5 ივლისს ერაყის სამხედრო-საზღვაო ძალებმა მოიგერიეს ირანის კატარღების შეტევა სპარსეთის ყურეში „ალ-ამიკის“ ნავთობმომპოვებელ ბაქანზე. „მაღალი აღმოსავლეთით“ მდებარე რაიონში ერაყის არტილერია ინტენსიურად უშენდა ცეცხლს მოწინააღმდეგის პოზიციებს, რომელმაც ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. ბასრის აღმოსავლეთით ირანს ორი სამხედრო საწყობი აუფეთქეს. ერაყელები ფრონტის ჩრდილოეთ და უკიდურეს სამხრეთ უბნებზე კვლავ უშენდნენ ცეცხლს ირანის ჯარების თავმოყრის ადგილებს.

ნიკოზია. ირანის სამხედრო ხომალდებმა ორმეუზის სრუტეში გზა გადაუჭრეს შვიდ სავაჭრო გემს და გაჩხრიკეს ისინი. როგორც ირანის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, გაჩხრეკის შემდეგ მათ გზის განგრძობის ნება დართეს. ფრონტის სამხრეთ უბანზე ირანის ჯარებმა მოწინააღმდეგეს 30-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაუხოცეს, გაუნადგურეს 15 საარტილერიო პოზიცია და სათვალთვალო პოსტი, ტყვიაწამლის რამდენიმე საწყობი. მეჰრანის რაიონში გაანადგურეს ერაყის ბადრაგი.

უკსოეთი

ფაქტები • მოვლენები

ეროვნული ინფორმაციის ბიურო

გარდაქმნის მშვიდობიანი ჰორიზონტები

გარდაქმნა მრავალი ათწლეულის მანძილზე სსრ კავშირში ერთ-ერთი უდიდესი ცვლილებაა. ასეთი დასკვნა გამოაქვთ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებს, გაზეთების მიმომხილველებს, რომლებიც განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის შედეგებს. საზღვარგარეთის გამოხმაურებებში ხაზგასმულია: თავისი არსით სსრ კავშირში მიმდინარე ცვლილებები იმის დასტურია, რომ მოსკოვს მშვიდობა და საერთაშორისო თანამშრომლობა სურს.

ულან-ბაგორი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებმა, იქ მიღებულმა მნიშვნელოვანმა დოკუმენტებმა მსოფლიო საზოგადოებრიობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია, — წერს „**უნენი**“. ეს კანონზომიერია, რადგან საბჭოთა კავშირში მიმდინარე გრანდიოზული რევოლუციური გარდაქმნა ხელს უწყობს მსოფლიო პროცესების ერთიანობის საყოველთაო შეგნებას და, მაშასადამე, მთელი კაცობრიობის აწმყოსა და მომავლისათვის ბრძოლაში უფართოესი მასების ჩაბმას. ეკონომიკის მართვის ძირეული განახლებისათვის გამიზნული მტკიცე კურსი, რომლის განსახორციელებლადაც წარმართავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის მეცადინეობას, ადასტურებს: სოციალიზმი მუდამ აღმშენებლობისათვის გამიზნული საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელსაც უდიდესი პოტენციალი აქვს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული ახალი კანონები ამკვიდრებენ საბჭოთა ხალხის ნებას საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისადმი, საბჭოთა კავშირში ინტენსიურად განვითარებადი დემოკრატიის გაფართოების კურსის კონკრეტული გამოხატულება და შემადგენელი ნაწილია. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირში შემოქმედებითად იყენებენ ვ. ი. ლენინის მოძღვრებას, ცხოვრების მიერ წამოყენებული ამოცანების შესაბამისად, კონკრეტულ პირობებში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ.

ლონდონი. „სოციალიზმის გამოუყენებელი პოტენციალის გამოთავისუფლება“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გარდაქმნის შესახებ მასალების ვრცელი შენაერჩევი „**მორნინგ სტარმა**“. „საბჭოთა კავშირში ახლა მიმდინარე რადიკალური რეფორმები, — წერს გაზეთი, — მიზნად ისახავს ასპპრეზი მისცეს მშრომელთა ინიციატივას, დააჩქაროს სამრეწველო ზრდის ტემპი, უზრუნველყოს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ინტენსიური დანერგვა. ამავე დროს ზარალიანი საწარმოების დახურვის შემთხვევაშიც საბჭოთა მუშები და მოსამსახურენი უმუშევარნი არ დარჩებიან. სსრ კავშირში მიმდინარე ამბები კვლავ ადასტურებს სოციალისტური წყობილების უპირატესობებს“.

ტოკიო. მეურნეობრიობის სისტემის გარდაქმნის საკვანძო რგოლს უწოდებს „**ახაჯი**“ სსრ კავშირის კანონს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. ამიერიდან, ხაზს უსვამს გაზეთი, საწარმოთა მუშაობა წარიმართება სახელმწიფო გეგმის ბაზაზე, მაგრამ განხორციელდება სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე. ეს ნიშნავს, რომ შრომითი კოლექტივი თავის მიერვე არჩეული ხელმძღვანელების მეთაურობით დამოუკიდებლად გადაწყვეტს საწარმოო და სოციალური განვითარების „ყველა საკითხს. მეორე იაპონური გაზეთი „**ტოკიო სიმბუნი**“ წერს: „საჯაროობა სულ უფრო მეტად ხდება საბჭოთა საზოგადოების ორგანული ნაწილი“.

დამასკო. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, განაცხადა თვალსაჩინო სირიელმა ეკონომისტმა **რ. კურდიმ**, მნიშვნელოვანი წვლილია სოციალიზმის ეკონომიკური თეორიის განვითარებაში. მასში ჩამოყალიბებულია საბჭოთა ეკონომიკის ნაკლოვანებათა დაძლევის კონკრეტული ღონისძიებანი. საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს. საბჭოთა ეკონომიკის ძირეული გარდაქმნა მოწმობს სოციალისტური ისტემის უდიდეს შესაძლებლობებს, სოციალიზმის სამეურნეო მექანიზმის მოქნილობა იმ შეცდომების უმოკლეს ვადებში დაძლევის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც დაშვებული იყო წინა წლების მანძილზე საბჭოთა ეკონომიკაში. საბჭოთა კავშირი, რომელიც პირველი დაადგა სოციალისტური განვითარების გზას, კვლავინდებურად მისაბაძი ნიმუშია იმათთვის, ვინც სოციალიზმის გზას დაადგა. მისი ეკონომიკური ძლიერების განმტკიცება შეესაბამება მთელი პროგრესული კაცობრიობის, მათ შორის იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების ინტერესებს, რომლებიც ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან.

მონტევიდეო. იმპერიალისტური პროპაგანდის ყველა ცდას საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენები წარმოსახონ სოციალიზმიდან გადახვევად, საერთო არა აქვს რა სინამდვილესთან, განაცხადა ურუგვაის პარლამენტის სენატორმა **ფრანსისკო როდრიგეს კამუსომ**; გარდაქმნა სსრ კავშირში ლენინური პრინციპების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეალების შემდგომი გაღრმავებაა.

ფოტოინფორმაცია

მშვიდობისა და განიარაღებისათვის

მსოფლიოში არც ერთი დღე არ ცხრება მასობრივი ომიანობაწინააღმდეგ გამოსვლები გამალებული ბირთვული შეიარაღების, კოსმოსის მილიტარიზაციის წინააღმდეგ.

„სურათზე: „მშვიდობისა და განიარაღებისათვის!“, — გამოდიან დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის მცხოვრებნი.

საკადესის ფოტოქრონიკა.

სტოკჰოლმი. პიტეოში (შვეციის ჩრდილოეთი) საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული კამერული ორკესტრის გამოსვლა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რუსთაველისა და ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიათა ლაურეატის ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით „შევა მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში“. ასე წერდა ამ ცნობილი კოლექტივის გამოსვლის შესახებ ადგილობრივი გაზეთი „ნორბოტენს კურირენი“ სტატიაში „დაუვიწყარი საღამო“.

კონცერტი გაიმართა ჩრდილოეთის ქვეყნებში საქართველოს კამერული ორკესტრის საგასტროლო მოგზაურობის ფარგლებში, რომლის დროს კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო ფინეთის, ნორვეგიისა და შვეციის ტრადიციულ მუსიკალურ ფესტივალებში. შვეციაში ორკესტრმა კონცერტები გამართა სამ ქალაქში — ესტერსუნდში, პიტეოსა და ლულანდში. კონცერტებმა სრული აწმშლაგით ჩაიარა და გულთბილად შეხვდა მაყურებელი. პროგრამაში აყოდრდა როსინის, შოსტაკოვიჩის, ნასიძისა და ვივალდის ნაწარმოებები.

„ბევრი კარგი კონცერტი მინახავს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მათ შორის, ალბათ, ცოტა თუ იქნება ისეთი, რომელსაც გამოჩენილი შეიძლება ეწოდოს. ასეთებს მივაკუთვნებ საქართველოს კამერული ორკესტრის გამოსვლასაც, წერს „ნორბოტენს კურირენში“ მუსიკალური კრიტიკოსი გუნარ სედერჰოლმი. — რა ფანტასტიკური ორკესტრია და რა ფანტასტიკური დირიჟორი ლიანა ისაკაძე!“.

ჩრდილოეთის ქვეყნების მუსიკალურ ფესტივალებში მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, საფრანგეთის, სხვა ქვეყნების ბევრი წამყვანი კოლექტივი და შემსრულებელი, — თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში ლ. ისაკაძემ. — კონცერტებს მარტო მოყვარულები კი არა, შეეციისა და საერთაშორისო მუსიკალური საზოგადოებრიობის პროფესიული წრეების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ჩვენთვის მით უფრო სასიამოვნოა წარმატება, რომელიც კოლექტივს ხვდა წილად. ბირველად როდი გამოვდივართ ჩრდილოეთის ქვეყნების ფესტივალებზე და ყოველთვის სიხარულით აღგვინიშნავს როგორც მაყურებლის, ისე მუსიკალური კრიტიკის გულთბილი მიღება. ამგვარი კონცერტები ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების ხალხებს უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, ემსახურებიან მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეს.

ქართული კამერული ორკესტრის გასტროლები

მოსკოვის ეკრანი აინთო

კვლავ კეთილშობილური დევიზით — „კინოხელოვნების ჯუანურობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის“ — შეხვდა მოსკოვის დათვალიერება მსოფლიო კინემატოგრაფისტებს.

ფლევანდელი, რიგით XV ფესტივალი იმ ვითარებაში ეწყობა, როცა საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების 70 წლისთავს. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება გარდაქმნის პირობებში, რევოლუციური გარდაქმნები კი, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში რომ მიმდინარეობს, საბჭოთა კინოს ახალ ამოცანებს უსახავს.

მოსკოვის კინოფორუმმა თავი მოუყარა ყველა კონტინენტის 110 ქვეყნის წარმოგზავნილებს, აგრეთვე ხუთი საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. შთა ჩამოიტანეს ფილმები, რომლებსაც უჩვენებენ როგორც კონკურსში, ისე უკონკურსოდ და საინფორმაციო პროგრამით.

ფესტივალის ორგანიზატორების ჩანაფიქრით, ფესტივალი დემოკრატიული და საქმითა იქნება. შეინარჩუნა რა უწინდელი სტრუქტურა, მან მცირეოდენი ცვლილებები განიცადა. შემცირდა კონკურსზე წარმოდგენილი ფილმებისა და პრიზების რაოდენობა. უფრო მრავალრიცხოვანი გახდა ეიფრი, რომელშიც შევიდნენ მსოფლიო ეკრანის უდიდესი ოსტატები.

ფესტივალზე იმუშავებს სამი ეიფრი. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ეიფრის ხელმძღვანელობს ცნობილი ამერიკელი მსახიობი რობერტ დე ნირო, დოკუმენტური ფილმებისას — ცნობილი საბჭოთა მწერალი ალეს ადამოვიჩი, ხოლო საბავშვო ფილმებისას — თვალსაჩინო ინდოელი საზოგადო მოღვაწე პარვატი მენონი.

ფესტივალი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 6 ივლისს სახელმწიფო ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში. აქ შეიკრიბნენ საბჭოთა და საზღვარგარეთის კინოხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ტრადიციისამებრ ფესტივალი დაიწყო პრემიერით. ნაჩვენები იყო საბჭოთა რეჟისორის ე. რიაზანოვის ფილმი „დავიწყებული მელოდია ფლეიტისათვის“.

7 ივლისს კი დაიწყო საკონკურსო ფილმების ჩვენება. მაყურებლებმა უკვე ნახეს ეგვიპტის, ინდოეთის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების ნამუშევრები.

(„კომ.“ კორ.).

ბ. ბორბაჩოვის ანგარიში

8 ივლისი, 1987 წ. ●

ᲕᲘᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲡ?

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ დამლევს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პირველ კურსზე ჩაირიცხება 14275 სტუდენტი. ეს 2400-ით ნაკლებია, ვიდრე შარშან. ამიტომ ამ ზაფხულს ჩვეულებრივზე დიდი კონკურსია მოსალოდნელი.

— მისაღები კონტინგენტის შემცირება დაკავშირებულია იმასთან, რომ ბოლო წლებში დისპროპორცია შეიქმნა უმაღლესი რგოლის სპეციალისტების მომზადებასა და მათზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას შორის, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ **რამაზ ხუროძემ.** — მდგომარეობის გამოსასწორებლად, მიმდინარე წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას ფართოდ გავრცელდება სპეციალისტზე სოციალური შეკვეთის პრაქტიკა.

— რას ნიშნავს ეს?

— ეს ნიშნავს, რომ სტუდენტთა კონტინგენტი ძირითადად უმაღლეს სასწავლებელსა და სამინისტროს, უწყებას, საწარმოს ან ორგანიზაციას შორის დადებული პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე ჩამოყალიბდება. სოციალური შეკვეთით მიღებულმა სტუდენტებმა პირველივე კურსიდან იციან, კონკრეტულად სად იმუშავებენ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ყოველივე ეს ხელს უწყობს სპეციალისტთა მომზადების პერსპექტიულ დაგეგმვას. ამასთან მათ მუდმივი კონტაქტები ექნებათ მომავალ სამუშაო ადგილთან, სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში იქ გაივლიან საწარმოო პრაქტიკას.

ისინი, რომლებსაც სასწავლებლად საწარმოები და ორგანიზაციები გზავნიან, კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასებების მიღების შემთხვევაში და სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში ეს საწარმოები და ორგანიზაციები გადაუხდიან სტიპენდიას.

— ვინა აქვს კიდევ კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლება?

— ისინი, რომლებმაც მოიხადეს თავიანთი ინტერნაციონალური ვალი, აგრეთვე სამავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების აღზრდილები, პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებსაც მშობლები არა ყოფენ. ეს უფლება აქვთ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულთ ჯარის ნაწილის რეკომენდაციით, თუ ისინი შედიან საინჟინრო-ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიურ და სამედიცინო სპეციალობებზე.

ასეთივე შეღავათები აქვთ საშუალო სპეციალური სასწავლებლების ან საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს, თუ მუშაობენ მიღებული სპეციალობით დადგენილი ვადის განმავლობაში და შედიან შესაბამის სპეციალობებზე (ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების გარდა).

საინჟინრო-პედაგოგიურ სპეციალობებზე, რომლებიც ამზადებენ მასწავლებლებს სახელმწიფო პროფგანათლების სისტემისათვის, ჩვეულებრივ მიიღებენ საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულებს აბიტურიენტებს მუშებისა და სოფლის ახალგაზრდობის რიცხვიდან, აგრეთვე თადარიგში დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დაეუფლნენ წარმოების სპეციალობას. ამასთან, ცხადია, გათვალისწინებული იქნება მათი მიდრეკილება პედაგოგიური მუშაობისადმი.

მომდინარე წლიდან უპირატესი ჩარიცხვის უფლება ექნებათ ქალაქშვილებს და ჭაბუკებს, რომლებიც მოაგროვებენ ათ ქულას ორი გამოცდის ჩაბარების შედეგად, თუ ისინი აბარებენ ეგრეთ წოდებული ექსპერიმენტის მიხედვით ან მიიღებენ ფრიადი შეფასებას ყველა მისაღებ გამოცდაზე.

— მაშასადამე „ექსპერიმენტი“ კვლავ მოქმედებს?

— დიახ. როგორც წინა წლებში, ბევრ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები კომისიის მიერ განსაზღვრულ სპეციალობაზე შემსვლელი აბიტურიენტები, რომლებსაც არა აქვთ „სამი“ საშუალო განათლების დოკუმენტში, თავისუფლდებიან მესამე გამოცდისაგან, თუ პირველ ორზე ცხრა ქულას მოაგროვებენ.

— წელს გაფართოდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც შეიძლება ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების გარეშე.

— ისევე როგორც წინათ, ეს უფლება ეძლევათ იმათ, ვინც დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელი განყოფილება და წარმატებით ჩაბარა გამოსაშვები გამოცდები. გარდა ამისა, ესენი არიან მასწავლებლები, აღმზრდელები და საწარმოო სწავლების ოსტატები, რომლებსაც აქვთ საშუალო პედაგოგიური განათლება და პროფილით პედაგოგიური მუშაობის სულ ცოტა ერთი წლის სტაჟი. პიონერხელმძღვანელები, აღმზრდელები, მეთოდისტები და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების გამგეები, რომლებმაც დაამთავრეს პედაგოგიური სასწავლებელი და სულ ცოტა ერთი წლის მუშაობის სტაჟი აქვთ; პირები, რომლებსაც საშუალო სპეციალური ან უმაღლესი არაპედაგოგიური განათლება აქვთ, აგრეთვე ისინი, ვინც დაამთავრა ერთწლიანი პედაგოგიური კლასები და მუშაობენ მასწავლებლებად, საწარმოო სწავლების ოსტატებად სულ ცოტა სამი წლის სტაჟით.

მათ გზავნიან განათლების ან პროფტექნიკური განათლების ორგანოები მონათესავე სპეციალობაზე სასწავლებლად წარმოებას მოუწყვეტლივ.

უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩარიცხვის უფლება აქვთ ზოგიერთი კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეებსაც. თანაც საგანგებოდ მინდა ვთქვა, რომ სამხედრო პირები, რომლებმაც ვერ დაამთავრეს სამხედრო სასწავლებელი, შეიძლება მიღებულ იქნენ სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ შესაბამის სპეციალობაზე.

ტრადიციისამებრ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განსაზღვრულია მწვავე დეფიციტური სპეციალობები: მარკშაიდერის საქმე, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების, მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია, აგრეთვე ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა, შავი ლითონების მეტალურგია, შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება, სამთო მანქანები და კომბაინებსები და სხვა.

ამ სპეციალობებზე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან მხოლოდ ის ჭაბუკები, ვინც სკოლა დაამთავრა ოქროს ან ვერცხლის მედლით, ტექნიკუმები და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები წარჩინების დიპლომით სპეციალობის მიხედვით, რომელიც შეესაბამება ან მონათესავეა უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობისა.

ყველამ, ვინც არ აბარებს მისაღებ გამოცდებს, აუცილებლად უნდა გაიაროს გასაუბრება.

— შარშანდელივით დაწერენ ქულებს გასაუბრების შედეგების მიხედვით?

— არა. მისი მიზანია გამოარკვინონ, სწორად აირჩია თუ არა აბიტურიენტმა მომავალი სპეციალობა.

— კიდევ რა სიახლეებია შეტანილი მიღების წესებში?

— „სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე შეუძლია შევიდეს მხოლოდ ის, ვისაც სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვს, თავი გამოჩინა საზოგადოებრივ მუშაობაში, პოლიტიკურად მომწიფებული და ზნეობრივად სპეტაკი ადამიანია. ამასთან აბიტურიენტს სჭირდება პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, სამართალდაცვითი ორგანოების ან ჯარის ნაწილის რეკომენდაცია.

ჰუმანიტარულ დისციპლინებზე შემსვლელებს კი შარშან მისაღებ გამოცდაზე შემოღებული საზოგადოებათმცოდნეობის ნაცვლად გამოცდა ექნებათ სსრ კავშირის ისტორიაში. საზოგადოებათმცოდნეობას ჩააბარებენ მხოლოდ ისინი, ვინც სპეციალობად აირჩია „ფილოსოფია“, „მეცნიერული კომუნიზმი“ ან „პოლიტეკონომია“.

— ერთნაირ ქულიანებს შორის ვის ექნება უპირატესობა?

— იმათ, ვინც ნიჭი და მიდრეკილება გამოიჩინა არჩეული სპეციალობისადმი — სრულიად საქართველოს ოლიმპიადებისა და რესპუბლიკური კონკურსების გამარჯვებულებს, თადარიგში დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა; იმათ, ვისაც უფრო ხანგრძლივი პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვს, განსაკუთრებით არჩეულ ან მონათესავე სპეციალობაში; სკოლის დამთავრების შემდეგ მედლით დაჯილდოებულებს ან იმათ, ვინც წარჩინებით დაამთავრა საშუალო სპეციალური ან საშუალო სასწავლებელი ან პროფტექნიკური სასწავლებელი. და ბოლოს, აბიტურიენტებს, რომლებმაც ყველაზე მეტი ქულა მიიღეს უმაღლესი სასწავლებლის გამოცდაზე პროფილის საგანში.

— რას გვეტყვით ახალ სპეციალობებზე?

— ახალი სასწავლო წლიდან ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური. ინსტიტუტი დაიწყებს მანქანათმშენებლობაში და ტრანსპორტზე, აგრეთვე ქიმიურ და მეტალურგიულ ტექნოლოგიაში ელექტრონული მოწყობილობის დარგის სპეციალისტების მომზადებას, ასევე ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტშიც იქნება სახალე.

Ი. ᲒᲝᲚᲓᲛᲐᲜᲘ,
საქინფორმის კორ.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲖᲐ

ᲕᲔᲠᲐ დავიდოვა სსრ კავშირის დიდი თეატრის საბჭოური ხანის ერთ-ერთი მთავარი ძალა იყო. მაგრამ მისმა მშვენიერმა, სისხლსავსე ხელოვნებამ საქართველოს დედაქალაქის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებასაც დაჩნია თავისი ელვარე კვალი. ეს იყო დიდი სამამულო ომის დასაწყისში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მეცო-სოპრანო თბილისში პირველად ჩამოვიდა, — ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრის სცენაზე მეროდა და საზოგადოებრიობის მხურვალე, სენსაციურ ოვაციებს იწვევდა. ჩემს ყმაწვილობაში მეც მერგო ეს საგანგებო ხვედრი, დავსწრებოდი მის სპექტაკლებს — საოპერო ხელოვნების ჭეშმარიტ დღესასწაულს. მაშინ თბილისის საოპერო თეატრი განსაკუთრებით ძლიერი იყო საკუთარი მომღერლებით. გარდა ამისა, ომის დაწყებიდან სულ მალე, მოძმე უკრაინიდან თბილისში ევაკუირებული იყვნენ თვალსაჩინო მომღერლები. ასე რომ, თბილისის საოპერო თეატრის სცენა მომღერალთა დიდი შემოქმედებითი პაექრობის ასპარეზად იყო გადაქცეული. თეატრში მაყურებელთა ტეტია არ იყო.

თავისი რეპერტუარის პირველ თბილისურ „სერიაში“ იგი სამ როლში გამოდიოდა: ამნერისი (ვერდის „აიდაში“), კარმენი (ბიზეს ოპერაში) და ლუბაშა (რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლეში“). უკვე პირველი გამოსვლისთანვე საოცარი ბრწყინვალებით წარმოგვიდგა ყველა მონაცემთან მომადლებული მომღერალი-მსახიობი. იგი წარმოჩნდა იშვიათად მადლიანი და ძლიერი ხმით. საუცხოო, რუსი ქალის ტიპიური გარეგნობით, მოძხიბლავი, ამასთან, უაღრესად ექსპრესიული პლასტიკით, აკადემიურობითა და სტიქიური ტემპერამენტის თავისთავადობით. არტისტიზმის განსაკუთრებული შარავანდედით ბრწყინავდა ამნერისის უკანასკნელი შეხვედრა რადამესთან და სასამართლოს დროს ქურუმებთან-ლიერ თეატრში ახალი, საუცხოო ვოკალურ-სცენური სახეების დაბადების მოწმე გახდა. ეს იყო: ანჩაკოვანა (ბოროდინის „თავადი იგორი“) — აღმოსავლელი ქალიშვილის მცხუნვარე, ეფლური კოლორიტით აღბეჭდილი, ვოკალურად და პლასტიკურად განუყოფელი, დაუცხრომლად მომრავი სახე; შემდეგ შარლოტა (მასნეს „ვერტერი“) — ვ. დავიდოვას უაღრესად დინამიკურ ხელოვნებაში თვალსაჩინო სიახლე იყო ინტიმურ სამყაროში მის მიერ ესოდენ აკვარელური სინატფით წვდომა. აღნიშნული ციკლი დაგვიგვინა დალილამ (სენ-სანსის „სამსონი და დალილა“). მეცოსპრანოს ამ ერთ-ერთი უმხურვალესი ვოკალურ-სცენური პარტიის სრულყოფილი შესრულება საგანგებო მონაცემებს მოითხოვს. თბილისში კი ამ სპექტაკლს თავისი ხელშეუხები ტრადიცია ჰქონდა. დალილას როლს თავისი მეუფე ჰყავდა ტემპერამენტიანი, თვითმყოფი მომღერალს ფატმა მუხტაროვას სახით. ვერა დავიდოვას შემოქმედებითმა შემართებამ და მოღალმა აკადემიურმა კულტურამ ამ ტრადიციას თავისი დაუპირისპირა და დიდი წარმატებაც ხვდა.

თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ვერა დავიდოვას შესანიშნავი პარტნიორები ჰყავდა ქართველი და უკრაინელი მომღერლების სახით. მათ შორის იყო მისი ცხოვრების მუდმივი მეგობარი, მშვენიერი ბანი, მაშინ სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი დიმიტრი მჭედლიძე. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ვ. დავიდოვა ფიდეს თბილისში მოღვაწეობს. მაგრამ იმხანად მას მალე მოუხდა მოსკოვს დაბრუნება და დიდ თეატრში მუშაობის გაგრძელება.

რა თქმა უნდა, დიდ თეატრში მოღვაწეობა იყო მისი დიდი გზის ცენტრიც და მწვერვალიც. თუმცა მანამდე რამდენიმე წელი ლენინგრადში დაპყო — ჯერ კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში, შემდეგ კი უპირველეს რუსულ საოპერო ტაძარში — ყოფილ მარიინის სახელობის ოპერის და ბალეტის აკადემიურ თეატრში, სადაც მისი ნიჭიერება საოცარ სისწრაფით ისახმიანა. [illegible] დიც ეწოდა ლენინგრადის [illegible] ლური გარემოცვა უმაღლესი დონისა იყო, იქ მოღვაწეობდნენ საუკეთესო მომღერლები, გამოცდილი დირიჟორები და რეჟისორები, მათ შორის იყვნენ გამოჩენილი უცხოელი დირიჟორებიც, რომლებიც უშუალოდ მუშაობდნენ ვერა დავიდოვასთან. მაგრამ საოპერო ცენტრი მოსკოვის დიდ თეატრში ინაკვლებდა, საუკეთესო ძალების შემოკრებაც იქ ხდებოდა და, ცხადია, ვ. დავიდოვასაც მალე გაეხსნა იქ გზა.

მაშინ რუსული საოპერო თეატრი ძლიერი მეცო-სოპრანოებით გამოირჩეოდა. ლენინგრადშიც და დიდ თეატრშიც ერთდროულად თავმოყრილი იყო ქალთა ხმის ამ უნიკალური ამალუას სხვადასხვა თაობის დიდი მომღერლები. საქმრისია დავასახელოთ ნ. ობუხოვა და მ. მაკსაკოვა დიდ თეატრში. კონკურენცია მძაფრი იყო, ესტაფეტაც უფროსიდან უმცროსში გადადიოდა. ვერა დავიდოვამ ასეთ გარემოში თავისი განუმეორებელი ადგილი დაიკავა. თვითმყოფი ინდივიდუალობით გამოირჩეოდა მისი მართა და მარინე მნიშვნელოვანი მუსორგსკის მუსიკალურ დრამებში „ხოვანშჩინასა“ და „ბორის გოდუნოვში“, ლუბავას სახე რიმსკი-კორსაკოვის „სადკოში“. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ჯერ კიდევ ლენინგრადში შექმნილი ვოლტრაუტას სახე ვაგნერის ოპერაში „ღმერთების აღსასრული“. განსაკუთრებით გამოვყოფდი იმ ფაქტს, რომ გენიალურმა გერმანელმა დირიჟორმა ოტო კლემპერერმა ლენინგრადში ვაგნერის „პარსიფალის“ საკონცერტო შესრულებისთვის „ზეციური ხმის“ მგალობლად ვერა დავიდოვა აირჩია.

საოპერო სცენა ვერა დავიდოვამ საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა 1956 წელს, 49 წლისამ, ძალთა აყვავების ჟამს. მისი ბოლო გამოსვლა იყო ამნერისის როლში მოსკოვის დიდ თეატრში. მას შემდეგ ვ. დავიდოვა თბილისის კონსერვატორიის პროფესორია. მისი დიდად ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა თუნდაც იმით შეიძლება შეფასდეს, რომ მაყვალა ქასრაშვილი მისი მოწაფეა!

ᲐᲜᲢᲝᲜ ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ.

ᲡᲡᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲡ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲣᲫᲠᲐᲮᲔ...

ᲤᲔᲮᲑᲠᲗᲨᲘ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში უმაღლესი ლიგის გუნდები მეთექვსმეტედფინალიდან ჩაებნენ და მოსკოვის „ტორპედოს“ გარდა, ყველამ მოიგო ამ ეტაპის პირველი შეხვედრები. გთავაზობთ ყველა შედეგს (გარდა ვილნიუსის „ჟალგირისის“ და ფერგანის „ნეფტჩანიკისა“. ეს შეხვედრა მოგვიანებით გაიმართება): მოსკოვის „სპარტაკი“-რიგის „დაუგავა“ — 1:0, ცსკა-ლუცკის „ტორპედო“ — 1:0, ალმა-ათის „აყირათი“-ტაშკენტის „ფახთაპორი“ — 1:0, მოსკოვის „ტორპედო“-კლაიპედის „ატლანტასი“ — 1:1, დონეცკის „შახტიორი“-ტერნოპოლის „ნივა“ — 2:0, ლენინგრადის „ზენიტი“-მაიკოპის „დრუჟბა“ — 3:1, ერევნის „არარატი“-ვოლგოგრადნსკის „ატომმაში“ — 6:2, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“-ელისტის „ურალანი“ — 10:0, ხარკოვის „მეტალისტი“-მოსკოვის „კრასნაია პრესნია“ — 3:1, ბაკოს „ნეფთჩი“-ანდიჟანის „ფახთაჩორი“ — 4:0, მოსკოვის „დინამო“-კემეროვოს „კუზბასი“ — 1:0, კიევის „დინამო“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 2:1, მინსკის „დინამო“-სოხუმის „დინამო“ — 2:1, ლენინაკანის „გურია“-ვოლგოგრადის „როტორი“ — 4:2, თბილისის „დინამო“-იაროსლავლის „შინიკი“ — 4:1. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრები 18 ივლისს ჭაიმართება.

ვინც თბილისის „დინამოსა“ და იაროსლავლის „შინიკის“ მატჩს დაესწრო, ეგრეთ წოდებული „მესამე ტაიმის“ მოწმე და მონაწილეც გახდა. საქმე ის არის, რომ მატჩის შემდეგ დასავლეთის ტრიბუნის წინ თბილისის დინამოელები და მათი ხელმძღვანელები ფეხბურთის ქომაგთა წინაშე წარსდგნენ და მათს შეკითხვებს უპასუხეს. სატურნირო ცხრილის მეტად სახიფათო ზონაში მყოფ და, რაც მთავარია, ერთთან ცუდად მოთამაშე თბილისის „დინამოს“ წევრებს არაერთი უსიამოვნო, მაგრამ უმთავრესად სამართლიანი კითხვაზე მოუხდათ პასუხის გაცემა. ამ მეტად საჭირო პრესკონფერენციაზე — გუნდისა და გულშემატკივრების გულახდილმა დიალოგმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ უკან დასახევი გზა უთუოდ უნდა მოიჭრას, თორემ, თუ ძველებურად გაგრძელდა, თბილისის „დინამომ“ სეზონის ბოლოს შეიძლება უმაღლესი ლიგაც კი დატოვოს. ეს წუხილი „დინამოს“ გულშემატკივრებმა დაუფარავად გამოთქვეს, მოყვარეს პირში უძარხეს, და მაინც იმედი გამოითქვა, რომ დინამოელები რამდენადმე მაინც შეძლებენ მდგომარეობის გამოსწორებას. აბა თუ იტყ, იმედი ჯერ კიდევ მთლად არ გადასწურვიათ დინამოელთა გულშემატკივრებს, რომლებსაც ქართული ფეხბურთის აღორძინებაზე ფიქრი ღელვინადაგ თავში უტრიალებთ. ეს რომ ასე იყო, იმანაც დაამტკიცა, რომ დინამოელებმა რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონიდან წერილობით გამოგზავნილ კითხვებსაც გასცეს პასუხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მილეთი ხალხის წინაშე დინამოელებმა უფრო მეტი სიმწრის ოფლი დაღვარეს, ვიდრე რომელიმე მატჩში.

ერთი სიტყვით, ქომაგებთან საუბარმა გვიჩვენა, რომ დინამოელებს მართებთ ძალების მაქსიმალური დაძაბვა, მეტი გარჯა ფიზიკური გამძლეობისათვის, საჭიროა სტაბილური შემადგენლობის საბოლოოდ გამოკვეთაც, ტექნიკური ოსტატობის დახვეწაც და ყოველი მატჩისათვის შესაბამისი და ნაყოფიერი ტაქტიკური სამოქმედო გეგმის ათრევისას შეცდომების მინიმუმამდე შემცირებაც. სხვანაირად წინასეზონს ანგარიშგასაწევ ბოლოს ეფარება. ეს ჭეშმარიტება ხომ „დინამოს“ სტადიონის დასავლეთის ტრიბუნებიდან გულშემატკივართა მართლაც საჭაოდ გამოთქმულმა შენიშვნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲚᲔᲚᲐᲕᲐᲠᲗᲘ. თბილისის „ქარაშხალა“ (სპი) უმაღლესი ლიგის გუნდების წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში რომ მეოთხეტაფეტე ადგილზე გამოვდა, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. ახლახან ჩვენმა ხელბურთელებმა ლენინგრადში ამ ოთხ გუნდს შორის ისასპარეზეს, რომელთაგან პირველ-მეორე ადგილზე გამოსული კოლექტივები შეჯიბრების დებულებით უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას შეინარჩუნებდა. ქართველმა ხელბურთელებმა ამ ამოცანის თავი გაართვეს: შეჯიბრებაში 3 ქულა დაგროვეს, მეორე ადგილზე გამოვიდნენ და გაისად კვლავ უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ.

ᲞᲐᲓᲠᲐᲯᲐᲠᲘ. იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში მიმდინარე ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის საზონათშორისო შეჯიბრების მეთორმეტე ტურში რიბლიმ დაამარცხა ჩერნინი, სპილენძი დაუზავდა საქსს, შორტი — ტალს... თორმეტი ტურის შემდეგ სპილენძს, შორტს და რიბლის 8-8 ქულა აქვთ, ტალს — 7,5, როდრიგესს — 6,5 ქულა და ა. შ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲐ. იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში დაიწყო სტუდენტთა XIV მსოფლიო ასპარეზობანი. მოფარაკავეებმა უკვე გაითამაშეს მედლების ერთი კომპლექტი. რაპირისტ ვაჟთა შორის სამივე მედალი უნგრელებმა მოიპოვეს: პირველ ადგილზე გამოვიდა ეოლტ ერშეკი, მეორეზე — იშტვან სეპეი, მესამეზე — პალ სეკერეში. დაიწყო ფეხბურთელთა შეჯიბრება მესარჩევ ჯგუფებში. საბჭოთა ნაკრებს აქ წარმოადგენს ვილნიუსის „ჟალგირისი“. ვილნიუსელებმა პირველი მატჩი სამხრეთ კორეის ნაკრებთან გამართეს და დამარცხდნენ ანგარიშით 2:3. ამავე ჯგუფში ასპარეზობენ ბრაზილიელები და იუგოსლავები. უნივერსიადის საზეიმო გახსნა დღეს მოეწყობა.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Ბ. ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ

ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ 167 ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ

7 **ᲘᲕᲚᲘᲡᲘ** დილით სვერდლოვსკ-თბილისის ავიარეისის დაზღვერონი უკვე საათს დასცქეროდნენ, რადგან განრიგით თვითმფრინავის დაჯდომას ათი წუთი აკლდა. მაგრამ არცერთ მათგანს არ მოუქცევია ყურადღება იმისათვის, რომ რესპუბლიკის დედაქალაქს მოახლოებული „ტუ-154“ თვითმფრინავი ისევ ცაში აიგრა.

ფრენის გაჭიანურების მიზეზი არც თვითმფრინაქში მყოფმა მგზავრებმა იცოდნენ. ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა: შუქტალონზე ენთო წარწერა, ღვედები შეიკარითო, ერთი კი იყო, რომ გარეგნულად აუღელვებელი ბორტგამყოლები ჩვეულებრივზე გულდასმით ამოწმებდნენ ამ მოთხოვნის შესრულებას და მგზავრებს „საავარიო პოზის“ მიღებას სთხოვდნენ. მათ უკვე იცოდნენ, რომ თვითმფრინავი ორ ბობრალზე უნდა დამჯდარიყო, რადგან შასის გახსნის დროს მესამე — წინა ბობრალი გაიკედა. შასის ფიქსაციის სარეზერვო სისტემის ამოქმედების ცდას წარმატება არ მოჰყოლია. სწორედ მაშინ აიგრა ლაინერი ზევით დამატებითი წრის დასარტყმელად — მას სათბობის მარაგი უნდა დაეხარჯა...

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ეკიპაჟი მეოთხეულის — პირველი კლასის პილოტის თენგიზ გვარაძის ხელმძღვანელობით ზუსტად და შეთანხმებულად, საფრენოსნო ექსპლოატაციის წესდების მკაცრი შესახაყვისობით მოქმედებდა. სწორედ მათი თავდაჭერისა და ოსტატობის წყალობით მოხერხდა სალონში პანიკისა და არეულობის თავიდან აცილება.

ამასობაში კი მიწაზე ყველა ზომა მიიღეს ურთულესი დაჯდომის უზრუნველსაყოფად, თავი მოუყარეს აუცილებელ საავარიოშაფილ საშუალებებს. სპეციალიროდ, მათი ჩარეცა საჭირო არ გამხდარა, რადგან მფრინავებმა ისე იმოქმედეს, რომ, როცა ლაინერი მიწას შეეხო, მას სიჩქარე პრაქტიკულად დაკარგული ჰქონდა. ცოტა კიდევ გაირბინა და, უკვე გაჩერებულმა დაადო „ცხვირი“ ხანძარსაწინააღმდეგო მასით დფარულ ასაფრენ-დასაჯდომ ზოლს. 160 მგზავრიდან და ეკიპაჟის 7 წევრიდან არც ერთი არ დაშავებულა.

თვითმფრინავის ეკიპაჟმა, რა თქმა უნდა, დიდი ვაჟკაცობა და პროფესიონალიზმი გამოავლინა, რისთვისაც ულრმეს მადლობას იმსახურებს, მაგრამ თავად თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობის მიზეზები გულდასმით უნდა გაარკვიოს კომპეტენტურმა კომისიამ, რომელიც დაადგენს კიდევ, თუ ვის მიუძღვის კონკრეტულად ბრალი ამ ამბავში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲘᲜᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲨᲘ

ᲙᲔᲚᲑᲐᲯᲐᲠᲘ. (საკადრისა კორ.). (აზერბაიჯანის სსრ), 6 ივლისი. დღეს მოსკოვის დროით 14 საათსა და 23 წუთზე აზერბაიჯანში მოხდა მიწისძვრა. ბიძგის ძალამ ეპიცენტრში, რომელიც შახდაღის ქედის განშტოებაში ქალაქ კელბაჯარის ჩრდილო-დასავლეთით 25 კილომეტრზე იყო, 5-6 ბალი შეადგინა.

ქალაქ კელბაჯარში იგრძნობოდა 5 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა. მსუბუქად დაზიანდა ძველი შენობები. მსხვერპლი არ არის.

ᲡᲐᲥᲠᲔᲗᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

7 **ᲘᲕᲚᲘᲡᲘ** მოსკოვის დროით 4 საათსა და 00 წუთზე სსრ კავშირში, იაკუტიის ასს რესპუბლიკაში მოეწყო მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება, რომლის სიმძლავრე დაახლოებით 20 კილოტონას აღწევდა.

ეს აფეთქება მოხდა სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲧᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲝ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14, ᲘᲒᲔᲠᲓᲔᲑᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲧᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲝᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲮᲝᲜᲗᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ 22.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07923

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მხატვრული ფილმი „რატომ არ მოითხოვეს ევანსი?“. I და II სერია. 11.15 — ცხოველთა სამყაროში. 12.15 და 17.00 — ახალი ამბები. 17.10 — ხალხური შემოქმედება. 17.55 — ალეერიული მოზაიკა. ალეერის ტელევიზიის პროგრამა. 18.15 და 20.55 — ახალი ამბები. 18.20 — ვისაუბრთ ფილოსოფიაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მონაწილეებთან. მე-2 გადაცემა. 21.00 — „რატომ არ მოითხოვეს ევანსი?“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „მობრძანდით სალამოზე...“. ე. ლეგეიდეი. 23.40 — დღეს მსოფლიოში. 23.55 — ეს თქვენ შეგიძლიათ.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — ფილმკონცერტი. 10.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.50 — უკრავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორკესტრი. 11.20 — მხატვრული ტელეფილმი „მბულხარ“. 12.35 — მულტფილმები. 13.05 — ფილმი — ბავშვებს. „მოთხრობები კვნაზე და მის მეგობრებზე“. III სერია. 14.25 — გერმანული ენა. 14.55 — საშადრაკო სკოლა. 15.25 — ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტელევიზიის პროგრამა. 16.20 და 19.